



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№244 (303) 5-12 ნომერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამებროლო“ ორბანო 30 თემი

“ცოცხლის ღირსი ხარ, შენ...”

“ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!”

ეს სიტყვები მწარედ ამოიკენესა დიდმა მღოსანმა მღვდელმა საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში მოხდა დაუჯერებელი დანაშაული – ქართველებმა საკუთარი ხელით მოკლეს საქართველოს დიდი ჭირისუფალი და მეჭირნახულე ილია ჭავჭავაძე.

საკუთარი თავი საკუთარი ხელით დავითობით მამის და ძვირადღაც დაგვიჯდა ეს არადადამიანური საქციელი, რადგან უილაო საქართველო დაეცა იაღქმე-ნამოხეულ, ქარიშხლიან ოკეანეში მოდრეოვს გემს, რომელსაც სრულიად გაურკვეველი მომავალი ჰქონდა. განა დღესაც მწარედ არ ვიძიებთ იმ არადადამიანური მკვლელობის ნაყოფს?

სწორედ საუკუნის წინ აღმოხდენილი ამ სიტყვების მსგავსი ამონაგენები გაისმა 2013 წლის 27 ოქტომბერს, როცა შეეტივევით რომ ზუგდიდში, სადაც 40 ათასმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში, მათ შორის 17 ათასმა კაცმა ხმა ნაციონალურ კანდიდატს გაუტრეფეს მისცა. სენაკში კი, მარგველაში, პროცენტულად, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა.

სულ მეგონა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სამეგრელოში ტოტალურად გაყალბდა და ამიტომაც მოიგეს სამეგრელოს ყველა ოლქში არჩევნები გაუტრეფულმა ნაციონალურმა, მაგრამ, სამწუხაროდ, თურმე, მთლად ასე არ ყოფილა საქმე და ის, რომ მიხეილ სააკაშვილმა გამოსათხოვარ სიტუაციაში ყინდა განაცხადა – ჩვენ კვლავ დავბრუნდებით, მთლად ცარიელ ნიდაგზე არ ყოფილა ნათქვამი. როგორც ირკვევა, მას მომავალ არჩევნებში იმ სამეგრელოს მიეძღვა აქვს, რომელიც, თურმე, კვლავაც “ერთგული რჩება” სომეხი რეპეციონერი სააკაშვილის და მისი დაშინებული გარემოცვისა!

აპაი, ჩემო სამეგრელო, თუ დღემდე ვერ არჩევ ერთმანეთისაგან ავსა და კარგს! არა და, როგორ მიწდა, რომ დავით ბაქრაძესა და ნაციონალურ თევგადკულ ჩემს მეგრელებს, დღეს არსებულ სიტუაციაზე, დათა თუთაშვიას სიტყვებით მივმართო:

“...რას შერებით, ხალხო, რას გავხარო, თუ ხედავთ ამას! ვინ ხართ თქვე უბედურებო, რა ჯიშისა ხართ!. რა გიყვით და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა მიხეილ სააკაშვილმა და, აგერ, ამ მოსასპობმა როლანდ ახალაიამ... არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!”

ნამდვილად მინდა ამ სიტყვების ხმა-მადლა დაძახება, მაგრამ მეშინია, ბრბო მეც ისევე სასტიკად არ გამისწორდეს კეტებითა და ქვებით, როგორც სიმართლის მოქმედ დათა თუთაშვიას და მის მეგობარ მოსე ზამთარაძეს გაუსწორდნენ.

არა და, ამის ყველა წინაპირობა სახეზეა! ახლა მხოლოდ ის მაინტერესებს, რითი მოხიბლეს სამეგრელოს დიდი ნაწილი ისე სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, რომ ხალხს უმაჯობოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ?

შარშან, როცა დავინახე, თუ რა ურცხვად გაეკანენ მეგრელი ქალბატონები ზღვაში ტრუსებში გამოჯვრებული სააკაშვილისაკენ, რათა მათთან ერთად სურათი გადაედოთ (ერთი მათგანი რადაცას წამოედო და რომ არ წაქცეულიყო, საკმაოდ უხერხულად აღვიღებთ მთავლი ხელი მის და დიმილით ყურებამდე პირგახეულმა სააკაშვილმა ეს “ქალბატონი” ძლივს წამოაყენა ფეხზე), ვიფიქრე, რომ სიხარულისაგან

გონებაამსუბუქებულ კიკიმორებთან გეჟონდა საქმე, მაგრამ ბოლო არჩევნების შედეგებმა დამარწმუნეს, რომ მხოლოდ რამდენიმე ეკსალტირებული ქალბატონი არ არის ფანატიკური სიყვარულით გამსჭვალული ავადსახსენებელი ნაცებისა და მათი თავგაქრასა “ბელადისადმი” – თურმე სამეგრელოს მოსახლეობის ლამის ორმოცი პროცენტი კვლავაც ოცნებობს ნაციონალურ უკან დაბრუნებაზე!

სირცხვილი და თავის მოჭრა, თუ ვინ-დათ, სწორედ ეს არის!

ვერა და ვერ გამოვიდა, რითი შეეყვარა თავი ასე ძლიერად დაშნაკმა სააკაშვილმა და მისმა უტიფარმა გარემოცვამ სამეგრელოს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს?

იმნებ იმით, – 2008 წლის აპრილის 11-ს ომი რომ გამოუცხადა რუსეთს, შუატოვამ მას ტერიტორიების ოცი პროცენტი (დამატებით – კოლხეთის ხეობა და ახალგორის რაიონი), შემდეგ კი მთელი მსოფლიოს განსაზღვრა გამოაცხადა, რომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ტაშ-ფანდურა მოაწყო რუსთაველის ბაზილიონზე?

იმნებ იმით – თავისნაირი ღორგვცელა ბენდუშიძე რომ ჩამოიყვანა საქართველოში და მას და საკუთარ დედას თუ ძმებს კაპიკეში რომ ჩაუბღო ხელში ასევე მიღირონობით ლარის ქონება? ბანა სწორედ ამ ბენდუშიძეს არ უნდოდა მაღულად ზუსტაფონის ღვინის ძარხნიდან უკვლავი (1905 წელს ჩამოსხმული უნიკალური ღვინოების) ენოთეპის გაზანა, რისი საშუალებაც აბილირგობი-მა მოსახლეობა არ მისცა?

იმნებ იმით, უღანაშულო ხალხით რომ ამოავსო ციხეები, კატიმრებს ცოცხლებსა და ხელჯოხებს რომ უჭრებდა უკანაღობი და ფარშავანებში დააბატონებდა?

იმნებ იმით, საპროცენტო ბარიერებით რომ გააღატაკა მთელი საქართველო და უღანაშულო ხალხის პისრიდან ამოღებული ფულით უხვად რომ უხასნი-კლდეგოდა თავის უზატიან საყვარლებსა თუ შემთხვევით ბაცნობილ შუხის კახაებს?

იმნებ სააკაშვილისა და მისი ზონდერების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების სასტიკად დატყვევებში მონაწილეობის მონაწილეობის მონაწილეობა, მათი ბეზამები მაღაზიის სახურავზე შემოაღება, მეორე დღეს კი მათი სისხლით მორწყულ ბაზილიონზე სახელოდ აღწერილი ბაზილიონი?

ან იმას ხომ არ უთმობთ სააკაშვილს ბიბრულ ნაძვირად, ავადსახსენებელი 2008 წლის აპრილის 11-ს, ბოროტი, მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის ბაბონებისა, ჩვენთან სტუმრად მყოფი საზრანბეთის საბარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი რომ დაუნანებლად მიატოვა და უზომოდ დაგმობსაღმა ცხვირით ახნა ქართლის მფირი მიწა?

ან იმნებ იმას უწონებთ სააკაშვილს და მის ბანდას, რომ ქვეყნის საბარეო ვალი 12 მილიარდ დოლარამდე გაზარდეს, ამ ფულს ნახევარზე მეტი კი თავად ჩაიჯობეს? ტყუილად გგონიათ, რომ ამ ნაშრომელი ფულიდან თქვენ რამე ბერბებათ – მისი ნაწილი ნაციონალთა პიარს მოხმარდება, რათა ისინი კვლავ დაბრუნდნენ საქართველოს განაყოფაღ და საბოლოოდ განსაზღვრებულად!

ან იმნებ სააკაშვილის “გველიგობაში” მოხიბვლათ, მახათას მთაზე მონასტრის

საპირკვლის ჩაყრისა ნარკოტიკებისაგან ბაჭყალი რომ ჩამოეჭმა პატრიარქის სავარძელში და სულაღური ღიმილით რომ უცქირდა ბარეში მყოფთა?

ან იმნებ იმან ალგაფთობნათ, მენტალურად სემრის დონეზე დატრინდა სააკაშვილმა და მისმა სიმასინჯის ბანასხივებმა ბანდამ ახალი ეპოქის შემქმნელი სტალინის ლანდვით რომ იჯამეს ბული და ღამით, შორეულად რომ გააქმეს მისი კმელი გელაღის მფობლიურ ძალად ბორიან?

ან იმნებ ის ბახდა თქვენი შთაბრუნის წყაროდ, ეს სწორი არარაობა ბანუკითხვად რომ უწოდებდა ბიზნესმენებს და მათგან ჩამოერთმეულ მილიონობით ქონებას კაპიკეში რომ გადასცემდა საკუთარი ოჯახის წევრებსა და თანამოზახველებს?

იმნებ ის ბახარბათ, რომ 2008 წლის აპრილის 11-ს არაპაცის მიერ წამოწყებული სამარცხვინო ომის (ამის თაობაზე უკვე აღარავინ დაობს) შედეგად აზხაზეთის საქართველოდან დე-იურად ჩამოცილებების მიზნით სამებროლო დიდი ხნის ბანავლობაში იმნებამ ეპროციტიკურ ჩიხში?

იმნებ იმან ბაბახარბათ, რომ სააკაშვილი ახალი ძალაქის “ლაზიკას” აშენებას აპირებდა. ალბათ არ იცით, რომ ამ ძალაქის ერთ ნახევარში ამერიკის სახმელო ზაზის მომსახურებელი კერძონალი დასახლდებოდა თავისი ოჯახის წევრებით, მეორე ნახევარში კი სირიიდან დემონი 40 ათასი სომხური ოჯახი ბანეთავდებოდა. ხოლო, თუ ყველაფერი ეს იცით, მაშინ რატომ მისტირით ასე ბულამონსებით ამ არარაობას?

ან იმნებ იმან ბაბახარბათ უზომოდ, დავით ბაქრაძე მებროლო “კანიბალბად და ბარბაროსებად” რომ მოიხსენია? რომორ დავიჯირო, რომ თქვენ ამ სიტყვების მნიშვნელობა არ იცით?

შეიკლება სააკაშვილის იმ “დემოკრატიასა” და “თავისუფალი მასმედიის” თაობაზე ვნებობა ირწმუნეთ, რომელიც მან ემროკელებსა და ამერიკელებს ქართლის საფასურად მიასადა, სინამდვილეში კი შუა საუკუნეების ტირანიასი ამოუკორონა თავი საქართველოში?

როგორ დავიჯირო, რომ ჩარჩავის შთაბრუნებელი სააკაშვილის მიერ დიდის მონელომებით შემოწივებული მონელოლიები მოგეწონათ, რომელმაც კულის რიკამდე ბავცმნა საქართველოს მოსახლეობა, მისი ოჯახის წევრებსა და თანამოზახველებს კი ზღაპრული ღინანური მოგება მოუტანა?

იმნებ იმან მოგტაცათ თვალი, თუ რომორ თავხედურად უსწორდებოდა ეს მონელოლიტი სრემბი ქართულ მართლმადიდებლობას და ქრისტიანული რელიგია საქართველოში არსებულ სმტებს რომ გაუტოლა, დანაშაულებრივი კანონის მიღებით?

იმნებ ის მოგწონდათ, სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობას “არამბრითე-მოამბეად” რომ მიიჩნებდა და არჩვენების თავხედური ბაჭალებით გუდა მისთვის სასურველი პიროვნები რომ ბაჭყავდა პარლამენტში თუ აბილიობრივი მმართველობის ორბანობაში?

იმნებ იმით იყავით ალტაცებულნი, ეს მართლაც თავბარბანი დაუნაპი, მთავრობის სხელებს რომ ატარებდა მშენებარე სახლის სახურავზე, ტბების ფონზე თუ საკათმეებში?

იმნებ ის მიბანინათ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ბანდის წევრების დიდ “დასახურებად”, ზურაბ შვანიასა და სანდრო ბირგვლიანის მკვლელებს

რომ ხელი დააფარა (ან თავად მიიღო მონაწილეობა, თუნდაც პრემიერ ჟენიას მკვლელობაში)?

ან იმნებ ის მოგწონთ, რომ რომორი არაქართული სულმოკლეობით ბანუბა მიხეილ სააკაშვილი თუნდაც სისხლის სამართლის დანაშავე მირაბიშვილსა და ბანანა ახალაიას, “ხელი შეასრცა” მათ და სინანული გამოთქვა მის ბამო, რომ თურმე სათანადო კონტროლი მერ ბანახოცივდა შენაბან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე. ერთი, მერაბიშვილსა და ახალაიასაც კიბით, რომორ შეფასებენ ისინი სააკაშვილის ამგვარ არაპაცურ საქმიანობას?

იმნებ იმნებ “დიდმა კოლიტიკოსობამ მოგტრათ თვალი, ბანსაქმთმებით რუსეთთან დამოკიდებულებაში, რაც საკმაოდ მკითხვად დაბვიდა და არაბინ იცის, კიდევ რამდენი ხანი მოგვიწევს ამ არაპაცის მიერ დათმული ზინჯრის შიშველი ხელით კრევა.

იმნებ...
მართლაც რომ ძალიან ბევრი შეკითხვა დაგროვებულა, ჩემო სამეგრელო მეგრელებო, ავადსახსენებელი მიხეილ სააკაშვილის, მისი “ნაციონალური” ბანდისა და (ბოდიშს კი მოგიხდით, მაგრამ...) თქვენს მიმართაც!

არ თქვია, ახლა, არ ვიცოდით, თუ ყოველივე ამ სახიხრობას სააკაშვილი და მისი გარემოცვა სწადიდა და ახლაც სწადის! და თუ იცოდით, თქვე დალოცვილებო, როგორ მოგიტრიადეთ ხელი სრულიად საქართველოდან საძულველი მე-ნომრის შემოსახაზად?

ნუთუ, საბრევიდენტო არჩევნების გამოცხადების შემდეგ მაინც ვერ გრძობთ, რომ ავისმქნელმა სააკაშვილმა და მისმა გადავარებულმა ბრბომ ისტორიულ მოუხველით ში დადინაცვლეს, საქართველო საბოლოოდ ჩაიქნია მათზე ხელი და ახლა მხოლოდ თქვენ ცდილობთ მათ რენიშირებას?

მხოლოდ ერთი აზრი მომდის თავში, რომელმაც შეიძლება ნაწილობრივ მაინც გაამართლოს თქვენი ალოგიკური საქციელი – საქართველოში ჯერ კიდევ არ სწანს ის ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელიც სრულიად უპასუხებს თქვენს სულსკვეთებს, და, ამიტომაც, დაუფიქრებლად ემხრობით ყოველივე შემთხვევით შემხვედრს! თუ მოვითმენთ და მშვიდად განვხვით ყოველივეს, მერწმუნეთ, ეს პოლიტიკური ძალაც მალე გამოჩნდება!

რაც შეეხება სამეგრელოს დღევანდელ პოზიციას, ამის მიხედვით შეიძლება მარტივად აიხსნას – საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეგრელები განსაკუთრებით მწვევედ განიცდიან ახლობელი ადამიანის გარდაცვალებას, ეძნელებათ მასთან სამუდამოდ გამოთხოვება და, ამიტომაც, იშვი-ათად, რომ ერთ კვირაზე ადრე დაკრძალონ იგი. ამ შემთხვევაში კი, ჩემო სამეგრელო მეგრელებო, მოვიწვევთ პოლიტიკურ გვამ სააკაშვილსა და მის გარდაცვლილ მოძრაობასთან გამოთხოვება და მათი დაკრძალვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვამი მალე გაიხრწნება და მისი სუნი არა მხოლოდ თქვენ შეგაწუხებთ!

დაგვერწმუნეთ – არავითარი სურვილი არა გვაქვს, რომ ვინმეს ჩვენი აზრი მოგახვიოთ თავზე, მაგრამ, როცა სრულიად საქართველომ ობიექტურად შეაფასა სააკაშვილისა და მისი “ნაციების” ცხრაწლიანი მავნებელი საქმიანობა, იქნებ თქვენც მშვიდად გადაგხვდეთ საქართველო თვალსაზრისისათვის.

გვერწმუნეთ, ასე აჯობებს!

როლანდ ჯალაღანი, მთავარი რედაქტორი

ბაბრატ კეტიანი ქანაშია

“აფხაზეთის ღირსეული შვილები”,

ამას წინათ ჩვენმა აფხაზეთმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვარდეს არველოდი კუპრავას სექტანინი წიგნი “ხალხი: ღრე და ცხოვრება”, რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომლებიც ნათელი კვლი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით “აფხაზეთის ღირსეული შვილები”, ვაგრძელებთ წიგნში დასტამებული ბიოგრაფიების გამოკვეთებას.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ეკონომიკასა და სოციალური სფეროების კვლადაკვალ, განუსრულად ვითარდებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, აფხაზური ენა, ფოლკლორი და ლიტერატურა. ამ დარგების აღმასვლის კვლადაკვალ იზრდებოდა მეცნიერ მეცნიერებათა და სპეციალისტთა ახალი თაობა, რომელთაც დიდი წვლილი შეჰქონდათ სამშობლოს შემდგომი წინსვლის საქმეში.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბაგრატ პეტრეს ძე ჯანაშია დიდად წარმატებული მეცნიერი გახლდათ, რომელმაც ვეებერთელა წვლილი შეიტანა აფხაზური ენის დახვეწისა და მისი შემდგომი სრულყოფის საქმეში.

ბაგრატ პეტრეს ძე ჯანაშია დაიბადა 1901 წელს, ონამირის რაიონის სოფელ აიუბუჯაში, გლეხის ოჯახში. თანატოლებს შორის ნიჭიერებით გამოირჩეულა ემაწვილმა 1920 წელს დიდი წარმატებით დაამთავრა სოხუმის სამასწავლებლო სემინარია. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში ბაგრატ მუშაობდა სოფელ აიუბუჯას რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში და მის მოვალეობას შეადგენდა საბჭოთა სამხედრო შენაერთებისა და იმ პარტიზანების ფურაჟითა და ტრანსპორტით მომარაგება, რომლებიც საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

სწორედ ბაგრატ ჯანაშიასა და მისი

თანატოლ-მეგობრების პატრიოტულმა უშიშარმა შემართებამ და თავდაუზოგავმა შრომამ განაპირობა, ბევრად, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აფხაზეთში, რამაც დიდი გარდატეხა შეიტანა აფხაზი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და გარანტირებულად ბედნიერი მომავალი დაუსახა ერსა და ქვეყანას.

1929 წელს ბაგრატ ჯანაშიამ წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, ისტორიული განხრით, და ამ წლიდან, ონამირის ათწლიან საშუალო სასწავლებელში, იწყება მისი მაღალნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. სწორედ აქ შეესხა ფრთები ბაგრატ ჯანაშიას ოცნებას – თავისი თავი გამოეცადა დიდ მეცნიერებაში, ამას კი თავაუღებელი შრომა სჭირდებოდა და მისი ოთახის ფანჯრიდან, ყოველდღე გვიან ღამემდე გამოდიოდა ლამფის მკრთალი შუქი.

პედაგოგის ამგვარი მონდომება შეუძნეველი არ დარჩენიათ რესპუბლიკის მესვეურებს და 1930 წლიდან ბაგრატ სამუშაოდ და სტუდენტობად გადაეყვანა სოხუმში და იგი, საშუალო სპეციალურ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასწავლის აფხაზურ და ქართულ ენებს. ამ დროისათვის აფხაზეთი კვლადივიციური კადრების დიდ დეფიციტს განიცდიდა და 1934-1937 წლებში ბაგრატ ინიშნება აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორ-მეთოდისტად და, ამავდროულად, აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. საოცარია, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა მაინც ახერხებდა ამგვარ არანორმალურ დატვირთვასთან გამკლავებას და სტოიციზმის მაგალითს აძლევდა თანატოლებს. 1937 წლიდან იწყება ბაგრატის მეცნიერული მოღვაწეობაც. აფხაზეთი, ქართული და რუსული ენების ზედმიწევნით კარგად ცოდნამ განაპირობა მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები – შეექმნა სრულყოფილი აფხაზურ-ქართული და აფხაზურ-რუსული ლექსიკონები.

1955 წელს ბაგრატ ჯანაშიამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე:

“მევენახეობის და მეღვინეობის აფხაზური ლექსიკა”.

მოსწრებულად უთავსებდა რა ერთმანეთს პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას, ბაგრატ ჯანაშიამ შედარებით მოკლე პერიოდში მოახერხა გამოკვეთვები ოცამდე საინტერესო მონოგრაფია ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა “აფხაზურ-რუსული ლექსიკონი”, “აფხაზურ-ქართული ლექსიკონი”, “მევენახეობის და მეღვინეობის აფხაზური ლექსიკა”. რომლებიც გამოიცა 1954 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში. იგი გახლდათ “რუსულ-აფხაზური” ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელი.

სამეცნიერო საქმიანობის კვლადაკვალ ბაგრატ ჯანაშია აქტიურად აგრძელებდა მუშაობას პედაგოგიურ ფონტზე და სისტემატურად ქმნიდა სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოებს და გამარტივებულ სასწავლო პროგრამებს აფხაზური სკოლებისათვის.

1937 წლიდან მისი ავტორობითა თუ თანაავტორობით იქმნებოდა სახელმძღვანელოები საშუალო სასწავლებელთა დამწყები კლასებისათვის, “აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათია VIII და IX კლასებისათვის” და სხვა. რამდენიმეჯერ იქნა გამომცემელი მის მიერ შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელო აფხაზური სკოლებისათვის, რაც მან განახორციელა სწავლულ აკადემიკოსებთან სიმონ ჯანაშიასა და დიმიტრი გულიასთან ერთად.

ბაგრატ ჯანაშიას მაღლიან კალამს ეკუთვნის აფხაზურ ენაზე ქართულიდან და რუსულიდან მაღალპროფესიულად ნათარგმნი მრავალი მოთხრობა, ლექსი და ნაწკვეტები ალექსანდრე პუშკინის, ივანე კრილოვის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ქმნილებებიდან, და სხვა გამოჩენილ ავტორთა ნაწარმოებები. მიუხედავად ამგვარი მოუცვლლობისა, ბაგრატ ჯანაშია მაინც პოულობდა იმის დროს, რომ ყოფილიყო უამრავი ავტორიტეტული სამეცნიერო, დარგობრივი, მხატვრული, სალექსიკონო და სასწავლო ლიტერატურის გამომცემის სპეციალური რედაქტორი.

1950 წლიდან გარდაცვალების დღემდე ბაგრატ ჯანაშია გახლდათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დიმიტრი

გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, იგი სისტემატურად ატარებდა ქმედით სამუშაოებს სამეცნიერო-კვლევით და ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების ხაზით. ამავე დროს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

ღვაწდომილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ბაგრატ ჯანაშია გახლდათ მაღალნაყოფიერი, თავმდაბალი, მეტად მოკრძალებული, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რესპუბლიკის პედაგოგ კოლეგია-თანამშრომლებსა და მეგობრებს შორის. სწორედ ბაგრატ ჯანაშიას მსგავსი ადამიანები ედგნენ ატლანტებად ქართულ-აფხაზურ მრავალსაუკუნოვან ნათესაობასა და მეგობრობას, რამაც ამ ორ ერს წარმატებით გააკავებინა გზა იმ შაბნელ პერიოდში, როცა გარეშე მტრების განუწყვეტელი შემოსევების გამო ჩვენი თვითმოყოფილება ეჭვის ქვეშ იდგა. სწორედ ამ თანადგომისა და ურთიერთმხარდაჭერის უგულვე-ბელოფის გამო აღმოჩნდით ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, რაც კარგს არაფერს უქადის არც აფხაზ და არც ქართველ ხალხს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის ბაგრატ ჯანაშიას მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი ასევე დაჯილდოებული იყო მედლით – “1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გაწეული სასარგებლო შრომისათვის”.

მაღალნაყოფიერი შრომით გამორჩეული მოქალაქე და შესანიშნავი აფხაზი მამულიშვილი ბაგრატ ჯანაშია 77 წლის ასაკში გარდაიცვალა – 1978 წელს. აფხაზეთმა და ქართულმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო ამ გამორჩეული ადამიანის ხსოვნას. იგი დაკრძალულია ქალაქ სოხუმში, მისი სახელი კი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მატეანეში.

ქართველი ქალი, რომელიც კოკო შანელის ექსკლუზიური მოდელი გახდა – მერი შერვაშიძე



მერი შერვაშიძე ერთადერთი ქართველი ქალი იყო, რომლის გარეგნობამ ლეგენ-დალური ფრანგი დიზაინერის, კოკო შანელის ყურადღება მიიპყრო და მისი მოდის სახლის ექსკლუზიური მოდელი გახდა. მერიმ 1921 წელს სტამბოლში გამართულ მსოფლიო სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა. გადმოცემით ის გადაკტიონ ტაბიძის მუხა იყო.

მერი მაღალი ქალი იყო და მამაკაცებს შავი, ღამაზი თვალებითა და წაბლისფერი თმით ხიბლავდა. როგორც ამბობენ, მას მეგობრების ვიწრო წრე ჰყავდა. ნაცნობები შერვაშიძეს ახასიათებდნენ, როგორც თავმდაბალსა და დიდხულოვან ადამიანს. მერი 1888 წელს ბათუმში დაიბადა. მა-

მამისი გენერალ-მაიორი პროკოფი შერვა-შიძე აფხაზი თავადი, რუსეთის სახ-ელმწიფო ღუმის დეპუტატი იყო. პროკოფი შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. შერვაშიძის მეუღლე გიგუშა ერისთავი (გიორგი ქსნის ერისთავი) იყო. 1921 წელს, საქართველოს გაწითლებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, როცა მერი ბათუმიდან გემით საფრანგეთში გაემგზავრა. გემი რამდენიმე დღით სტამ-ბულში შეჩერდა. სწორედ ამ დროს იმარ-თებოდა სტამბულში მსოფლიო სილამაზის კონკურსი – კონკურსში მერიმ გაიმარჯვა.

მერის შვილი არ ჰყოლია, რადგანაც მეუღლე ახალგაზრდა გარდაეცვალა. ხან-დაზმული მერი პარიზში, ლატურის ქუჩაზე სრულიად მარტო ცხოვრობდა. მან სიც-ოცხლის ბოლო წლები მოხუცთა თავშ-ესაფარში გაატარა. თუმცა, ეს არ იყო მიუსაფართა დაწესებულება, მშვენიერ ქალ-ბატონს იქ მოახლევც ჰყავდა.

როგორც მერის უახლოესი მეგობარი ბაბო დადიანი იხსენებდა, მერის სახლში სიცოცხლის ბოლომდე ეწყო მისი სილა-მაზით აღფრთოვანებული ნაცნობ თუ უც-ნობ თავყანისმცემელთა გამოზავნილი ყვავილები. მერი პარიზში მდებარე მოხ-უცებულთა თავშესაფარში 1986 წელს, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის სენტ-ჟენევიე-დუ-ბუას სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით დაკრძალეს. შერვაშიძის უახლოესი მეგობრის, ბაბო დადიანის თხოვნით, კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მერის პანაშვიდი საქართველოში, სიონის ტაძარში გადაუხ-ადა.

ოლეგ ბარციცი: „ჩვენი ამოცანაა, რუსეთის ბაზარზე მეწარმეს გზა გავუიოლოთ“

აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანკეაბმა მიიღო აფხ-აზეთის საგარო წარმომადგენელი რუსეთში ოლეგ ბარციცი და რუსეთ-აფხაზეთის საქმიანი საბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვში რუსეთის საგამოყენო ცენტ-რის განხორციელებაში აფხაზეთის მონაწილეობის ორგანიზატორები არიან.

ოლეგ ბარციცმა პრეზიდენტს მოუთხრო, თუ როგორ ჩატარდა ავტორიტეტული მე-15 საერთაშორისო გამოფენა „ოქროს შემოდგომა-2013“. მან აღნიშნულ ღონისძიებაში აფხაზეთის მონაწილეობა ზოგადად დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ გამოფენაში პირველად მიიღეს მონაწილეობა აფხაზეთი ფერმერებმა.

„ჩვენი ამოცანაა, რუსეთის ბაზარზე მეწარმეს გზა გავუიოლოთ“, – აღნიშნა ოლეგ ბარციცმა.

აფხაზეთი მეწარმეებმა 6 მედალი, მათ შორის, მთავარი ჯილდო – 500 გრ-იანი ოქროს ზოლი მიიღეს.

საძინელო

აფხაზეთში შეიძენს, ვინ მოკლა ბიზნესმენი კლემანტოვიჩი

აფხაზეთში შეიძენს, ვინ მოიტაცა და მოკლა ბიზნესმენი კლემანტოვიჩი, რომლის გაუჩინარებობაც შემდგომში სოხუმში მოკლული რუსი დიპლომატი დიმიტრი ვიშ-ერნევი იყო დაინტერესებული.

რესპუბლიკის პროკურატურამ „ელ პეტროლეუმ-აფხაზის“ ხელმძღვანელისა და მისი მეგობარი ქალის ოქსანა სკარედნოვას გატაცებაში ეჭვმიტანილ ოთხ პირს ბრალი წაუყენა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ პირების ხელი ერიოს დიმიტრი ვიშ-ერნევის მკვლელობაში.

აფხაზეთის საინფორმაციო სააგენტო „აფხსინპრესის“ ცნობით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულია აფხაზეთის 4 მოქალაქე: რამინ შმაილი, აპრა გოპია, ჯუმბერ ბიგვავა და ასლან ცვიუბა. მათ ბრალი ედებათ ბიზნესმენისა და მისი თან-მხლები ქალის გატაცებაში, შეკვეთილ მკვლელობასა და ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებასა და შესამე პირისთვის გადაცემაში.

შეგახსენებთ, რომ მოკლული ბიზნესმენი სერგეი კლემანტოვიჩი უკვალოდ გაქრა 2012 წლის სექტემბერში, რის შესახებაც პოლიციას მისმა ნათესავმა შეატყობინა.

სერგეი კლემანტოვიჩის და მისი მეგობარი ოქსანა სკარედნოვას ცხედრები 2013 წლის 14 ოქტომბერს აღმოაჩინეს.

სამეგრელოდანი

საინფორმაციო მხარდაჭერა GIZ-ის წარმომადგენლებთან

19 ოქტომბერს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დაარსდა GIZ-ის წარმომადგენლებთან გაერთიანებული შეხვედრა. შეხვედრა საქართველოში პროგრამული ბიუჯეტის შემოღების დაკავშირებით ჩატარდა და ესწრებოდნენ სობის, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების გამგებების დარგობრივი სამსახურების უფროსები. დასაფინანსებელი პროგრამები ახალი ფორმის ბიუჯეტებში სფეროების მიხედვით აისახება და მათი შესრულების ვალდებულება დარგობრივ სამსახურებს ევალებათ, რის გამოც მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება, თუ როგორ უნდა შეადგინონ პროგრამები და როგორ უნდა უზრუნველყონ მათ შესრულება კონტროლი და ანგარიშება.

ტრენინგს უძღვებოდა GIZ-ის სამუშაო შეხვედრების ფასილიტატორი სულხან თოლორაძე.

რაბის ფესტივალი სობის ცენტრალურ მოედანზე

12 ოქტომბერს, 11 საათზე ქ. სობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა დასავლეთ საქართველოს ფესტივალი 2001-2002 წელს დაბადებულ მორაგბეთა შორის. ფესტივალში მონაწილეობდა სობის, სენაკის, მარტვილის, წყალტუბოს, ქობულეთის, ბათუმის, საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის, სობის, ფოთის და ქუთაისის ხუთი სასპორტო სკოლის რაგბის გუნდები. ფესტივალი ჩატარდა საქართველოს რაგბის კავშირის, დასავლეთ საქართველოს კოორდინატორმა იოსებ დიაკონიძემ, სადაც მონაწილეობდა 300 მორაგბე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმატებით მონაწილეობისათვის პატარა მორაგბეები სიგელებით დაჯილდოვეს.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მიმდებარე ტერიტორია

მიმდინარე წლის ოქტომბერში სობის ხარების დედათა მონასტერს საქართველოს ეროვნული გვარდიის მეათე კადრირებული ბრიგადა სტუმრობდა. ჯარისკაცებმა ტაძრის მოძღვარ დეკანოზ ილიასთან და სამხედრო კაპელან დეკანოზ გიორგისთან ერთად მოილოცეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავების სურვილი გამოთქვა. აქციაში 80 სამხედრო მოსამსახურე ღებულობდა მონაწილეობას. მათ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სახანა-სათესი მიწის ნაკვეთი ბალახებისა და ეკალ-ბარდებისაგან გაწმინდეს და დაასუფთავეს. მათი თქმით აქცია არ ატარებს ერთჯერად ხასიათს და მსგავსი აქციების განხორციელება სხვა ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზეც არის დაგეგმილი.

სობის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის აქციის ორგანიზატორებსა და საქართველოს ეროვნული გვარდიის მეათე კადრირებულ ბრიგადას დაუღალავი შრომისათვის.

მეგრული სიმღერის ფესტივალი სობის მუნიციპალიტეტში

სობის მუნიციპალიტეტში მეგრული სიმღერების საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ წელს შექმნილ ჩატარდა. წლევანდელი ფესტივალი ანსამბლ „მზიურს“ მიეძღვნა სლოვანთ „მზიურის ფესტივალზე“, სადაც „მზიურის“ ყველა თაობის მომღერლებმა ანსამბლის ძველი სიმღერები შეასრულეს. სობის საერთაშორისო ფესტივალი ორი დღე მიმდინარეობდა და მასში ქართველი ესტრადის მომღერლებთან ერთად რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან და ლიტივიდან ჩამოსულმა მომღერლებმაც მიიღეს მონაწილეობა. მომღერალმა თამარ გვერდწითელმა ორი სოლო სიმღერა შეასრულა და კონცერტი ხანგრძლივი

აპლოდისმენტებით და ოვაციებით დასრულდა. ფესტივალის იდეის ავტორია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, ფესტივალის ორგანიზატორები კი – განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „სობი“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.

სობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის სობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა ფონდ „სობის“ გამგეობის წევრს ბადრი ბერაიას და ბიზნესმენებს მერაბ ჭოჭუას და თენგიზ ხარებაგას. ჩამოსულ სტუმრებს გილობა გაუწიეს ადგილობრივებმა და მოილოცეს სობის მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრები.

ფესტივალი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარების ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

ფოტო-მონაწილეობა

14-18 აგვისტოს ქალაქ როტერდამში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კრიკში ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა ფოთელი მოკრივე გიორგი ნანავა, რომელმაც 49 კვ. წონით კატეგორიაში საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. სპორტსმენი ჩემპიონატისათვის მოამზადა მწვრთნელმა გრიგოლ ძაგანიამ. გამარჯვებულს და მწვრთნელს საბანკო ანგარიშებზე დაერიცხებათ პრემიალური თანხები.

ისრაელის ელჩი სტუმრად

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი დავით სარსანია ისრაელის ელჩს საქართველოში, იუვალ ფუქსს შეხვდა. შეხვედრისას ელჩმა და ფოთის მერმა საქართველოს და ისრაელის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებზე ისაუბრეს.

ციხიდან გუბერნატორად, გუბერნატორიდან კვლავ ციხეში!

მზნაპა სამეგრელოს მიმართ მთავრობაში ბაჩენილ არასასურველ აქცენტებს ხელახს სიხილან გუბერნატორად

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა მთავრობას მოუწოდებს პატრიოტებსა და ქვეყნისთვის მებრძოლებს პატივი სცენ. ეს გუნავამ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მომხდარი ინციდენტის შეფასებისას განაცხადა. როგორც გუნავამ „ფეისბუქში“ დაწერა, ხელისუფლება რუსეთის ინტერესს ატარებს და მას ქართველი ხალხის ორად გახლეჩა აქვს მიზნად:

„მე, როგორც ჩემი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცი, საჭიროდ ვთვლი, მოკლედ მოახსენოთ ჩემი მოსაზრება მიმდინარე მოვლენებზე, კერძოდ, ხურჩის ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულ მებრძოლებზე. დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნებით ჩვენ საშუალება მივეცი ამ უამბად მოქმედ მთავრობას, ჰქონოდა საშუალება თავიანთი რესურსის ბოლომდე გამოყენებისა. სამწუხაროდ, მივიღეთ შემაფოთებელი სურათი:

თქვენს ყურადღებას აღარ შეგაჩერებ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე (ამ საკითხთა მოუგვარებლობა ისედაც ნათელია). ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია საშინაო პოლიტიკის წარმატებულად გატარებასთან, რაც სამწუხაროდ, ნაკლებად აქვს გათვალისწინებული დღევანდელ ხელისუფლებას.

ამის ნათელი მაგალითია დღესდღეობით დაკავებული ისეთი პიროვნებები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად, უანგაროდ ემსახურებოდნენ სამშობლოს, ისინი, რომლებსაც აქვთ ჩატარებული ისეთი ურთულესი ოპერაციები, სადაც გადარჩენის შანსი მცირე იყო.

ხელისუფლება ყველაფერზე მიდის არჩევნების მოსაგებად: მათ დაკავებული ჰყავთ რომა შამათაგა, მაღალბაზ მურდულია, ათეულობით სპეცრაზმელი და პოლიციელი დაწყებით დასაკითხად, აყენებენ შეურაცხყოფას.

ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს, რომ რუსულ სპეცსამსახურებს ჩამოწმინ-

დონ ის შავი ლაქა, რომელიც მათ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში აქვთ და სრულიად უსაფუძვლო, აბსურდული ბრალდებებით ქვეყნის პატრიოტები გამოკეტონ საპრობლიემოში. ამან კიდევ უფრო გაამყარა პირადად ჩემი ეჭვი, რომ მიზანმიმართულად ხდება ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სტრუქტურების ჩამოშლა და განადგურება, რაც ყოველთვის წარმოადგენდა მტრულად განწყობილი ჩვენი მეზობელი ქვეყნის დიდ ინტერესს...

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს აგრესიული პოლიტიკა, ხალხის ორად გახლეჩის, ასევე ჩვენი მოქალაქეებისა და კუთხეების დიფერენციალის ფარული მცდელობები, რაც საქართველოს ძირძველი კუთხისა და მისი მკვიდრი ქართველების – სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ არასასურველი აქცენტების განჩენაში გამოიხატება, მაძლევეს უფლებას რომ ვთქვა – მათი მიზანია საქართველოს განადგურება! ისინი საკუთარი კეთილდღეობისათვის ქვეყნის თავისუფლებას მორბობენ ცვილიანს. რაც შეეხება სპეცრაზმელების თემას, მსსს-ს ყველა კომპეტენტურმა თანამშრომელმა იცის, რომ მათდამი ამგავრი მოპყრობა, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყოველად დაუშვებელია.

ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება სწორედ რომ მათ ზურგზე გადადის, მათი მოვალეობა და დამსახურებაა! მათი არანაკლები დამსახურებაა ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა შევდა როგორც სახელმწიფო.

სამწუხაროდ, ინხატება სურათი, რომ დღესდღეობით ყველა პატრიოტი ადამიანი დაუცველია. ამ ბიჭებმა სიცოცხლის ფასად შეგვინარჩუნეს ქვეყანა ისე, რომ თავიანთი თანამდებობა, გავლენა, არც ერთს ვარ გამოუყენებია პირადი ინტერესისთვის, გარდა ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისა! სირცხვილია, რომ დღეს ამ ნიშნით ის-ჯებიან მებრძოლები!

მივმართავ საქართველოს მთავრობას: დროა, გონს მოვიტოვო და ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებები მივიღო, პატივი სცენ საქართველოს თითოეულ მებრძოლს, გაათავალისწინონ და სათანადოდ

დააფასონ მათი წვლილი ქვეყნის აღმშენებლობაში.

ჩემი თანამებრძოლები და მე, ჩვენს მეგობრებთან ერთად, უკან დახევას არ ვაპირებთ იმის მიუხედავად, როგორ გაგრძელდება ჩვენი გზა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ავირჩიეთ – მას საქართველო ერთგულება ჰქვია და ამ გზაზე ვივლით მუდამ, სადაც არ უნდა ვიყოთ! ნურავის, ვინც არ უნდა იყოს ის და რამდენი მომხრეც არ უნდა აყვადეს, ნუ ექნება ილუზია, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიაში დააბრუნებს!

მე მჯერა, რომ ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას ვერავინ დააჩოქებს! არცერთი ნაბიჯი უკან! ბრძოლა ბოლომდე!!! – წერს გუნავა „ფეისბუქში“.

გუბერნატორიდან კვლავ სიხეში

ასეთია გუნავას ანდერძი, რადგან მას გუამნა არ უღალატა – იცის, რომ მალე კვლავ ციხის კედლებში მოკალათდება. საკვირველი ისაა, როგორ მოახერხა ბნედიანმა სააკაშვილმა, რომ ყველა საკუთარი თანამხრახველი საკუთარი პერსონისათვის დაემსგავსებინა.

მართლაც რომ მაკვირია დიდი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველისკოს შეფასება, როცა იგი სომხებს ახასიათებს თავის უკვდავ ნაწარმოებში „კავკასია“.

იმოწმებს რა პუმანური რუსი პოეტის შემოქმედის ციტატა პოემიდან „კოზმა პრუტკოვი“, იგი აღნიშნავს:

„ეწვეარ ვიწრო ლოგინზე, მეზობელ პალატაში კი ყვირის სომეხი...“

იგი ასევე, რომ სიტყვა „ყვირის“ ძალზე ტიპურია. „სომეხები მართლაც გამუდმებით ყვირიან – არ შეუშვებ შენს სახლში, დროზე გაუგებ მზაკერულ ჩანაფიქრს, თუ წერილმან ქურდობაზე დაიჭერენ მათი წრის წარმომადგენელს – ისინი თავადაც ყვირიან და სხვა ერის სულელს თუ მოსყიდულ ადამიანებსაც აყვირებენ“.

აღნიშნეს, რომ ერთთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია როგორც კულტურული და ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ურთიერთობა. ელჩი დაინტერესდა ფოთის პორტით, ლოჯისტიკური კომპანიებით. იუვალ ფუქსმა გამოთქვა სურვილი საპორტო ქალაქების პაიფა და აშდოდის დამკვიდრებაზე ფოთთან. საუბარი ასევე ეხებოდა გამოცდილი ბიზნესკომპანიების წარმომადგენლების სამომავლო ვიზიტს ქალაქში. დავით სარსანიამ მადლობა გადაუხადა ელჩს ქალაქთა დაინტერესებისთვის და აღნიშნა, რომ ისრაელის საპორტო ქალაქებთან დამკვიდრება და მათი გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია ფოთისთვის.

ზუბილის მუნიციპალიტეტის ინციდენტი...

ქ. ზუბილში ოთხ ქუნაზე ჩატარდა ასფალტის საფარის რეაბილიტაცია. შემსრულებელი გახლდათ შ.პ.ს. „სანი“. პროექტის ღირებულება გახლდათ 1 992 846, 91 ლარი, რომელიც უკვე სრულდა აათვისებული.

ქ. ზუბილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პროექტით განხორციელებული სამუშაოები დადებითად შეაფასა.

ქუჩები მძიმე მდგომარეობაში სუფევდა, არ იყო წყლის საწრები არხები და ზოგ ადგილებში ტრანსპორტს გამართული მოძრაობა უჭირდა.

მონიტორინგის დროს მოსახლეობამ დადებითად შეაფასა სამუშაოები, რადგან „სანმა“ გარდა ასფალტის საფარის რეაბილიტაციისა, 4 ქუნაზე დამატებით შეასრულა საკანალიზაციო სამუშაოებიც მერიის განვითარების ფონდთან შეთანხმებით. ამავე შპს „სანის“ მიერ ზუბილში ენგურ-ქადალდ კომბინატის დასახლებაში 62 000 კვ/მ-ზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწოდება, რომელიც ზუბილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მონიტორინგის დროს გამოკითხულმა მოსახლეობამ დადებითად შეაფასა. მანამდე კი აქ არ არსებობდა ასფალტის საფარი, არ იყო სანადგურე ქსელები და კანალიზაცია, იყო მხოლოდ ორმოები და გადათხრილი ადგილები.

კვლავ ციხეში!

განა სწორედ სომეხი დაშნაკის მიხეილ სააკაშვილის სახე არ არის ჩამოქნილი ამ სიტყვებში?

გაუგეს სააკაშვილს ყველა ვირეშმაკული ჩანაფიქრი საქართველოს წინააღმდეგ და ახლა იგი თავადაც ყვირის და სულ-გაყიდულ არამზადა ქართველებსაც აყვირებს: „არიქათ, გვიშველეთ, ეს ბარბაროსი მეოცნებეები გვესხმიან თავს „დემოკრატ“ ნაციონალებს“ და ციხეებში გვეყრიანო!”

არა და, ამათი „დემოკრატია“ კარგად გამოსცადა საკუთარ ტყავზე საქართველოს მოსახლეობამ. ის „დემოკრატია“, რომელსაც დღესაც მისტირიან ევროკავშირის მმართველი სახალხო პარტიის წარმომადგენლები! სატირლად კი ნაღდად აქვთ საქმე, რადგან მათთვის ქრთამად გახაზირებული საკმაოდ დიდი შემოსავლები დაპყრობეს, ფულის შოვნას დახარბებული სააკაშვილისა და მისი ბანდის გაბუნძულების შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი სულ-გაყიდული არამზადა გახლავთ სწორედ ის თენგიზ გუნავა, რომელიც უკანონო და თავგელური ამისტიით გამოათრია ციხიდან ავისმქმნელმა სააკაშვილმა და კვლავ სამეგრელოს გუბერნატორად წამოსაკუპა. ახლა კი იცის გუნავამ, რომ მალე ციხის „შობლიურ“ კედლებს დაუბრუნდება და ამიტომაც გვიტოვებს „გულისამაზუყველ“ პოლიტიკურ ანდერძს, სადაც ნაცთა ყველა შავი საქმეების ჩამდენად კვლავ რუსები გამოჰყავს!

ვიცი, ბატონო თენგიზ, კარგად ვიცი რომ „უცოდველი კრავები“ ბრძანდებით, მაგრამ, სამწუხაროდ პროკურორსა და მოსამართლეს ვერ ვარწმუნებთ თქვენს უცოდველობაში! ამიტომ, რა ვქნათ, თუ კვლავ ციხეში მოგიწევთ ყურყუტი და დიდი, ძალიან დიდი დრო გავა, ვიდრე საკნის კარი გაიღება და ფეხებგაბაჯული ზედამხედველი სახეიმი ხმით გამოაცხადებს:

„Тынава с вещами!“

ჯერჯერობით კი ის გაირკვა, რომ გუნავა მალე დასტურებს გუბერნატორის თანამდებობას – საკუთარი სურვილით.

მამშრებელი

თქვენი შვილები გაუზვიით ავღანეთში

როდესაც ინფორმაცია ვრცელდება ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის შესახებ, ემოციას ვერ ვერვით. ბავშვობიდან მიძიმე დადი დამანია საქართველოს "ავღანურმა" ტრაგედია, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს საბჭოთა ერქვა და უფროსი ძმის ტოლა ბიჭების დაკეპილი სხეულები "ცინკის" კუბოებით ჩამოჰქონდათ ცეცხლში გახვეული აღმოსავლეთიდან. კიდევ ერთხელ ვარ საშინელი, ტრაგიკული ემოციის ტყვეობაში და მეფიქრება იმაზე, რაზეც არაერთხელ ამოუხეთქია ტკივილს გული-დან.

საქართველოს ისტორიაში თელა არ აქვს საგმირო ამბებს მეფეებისა და დიდებულების შესახებ, რომლებიც სამშობლოსთვის მტერს ეწირებოდნენ, შვილებს კი მიჰყვებოდნენ ავღანეთში მტრის კარზე.

ყველა ომში ლაშქარს, რაზმს, საბრძოლო შენაერთს თავდა-აზნაურები და პირველ რიგში მეფეები მიუძღოდნენ. მათი თავდადება კი (არ დამიწყოთ, რომ მოღალატეებიც გვერია, ისე, როგორც ყველა ერს) საოცარ ძალას მატებდა ხალხს. მარტო ერეკლე მეფის გმირობები რად ღირს... ამჯერად კი რა ხდება?

ყველა ომში რიგითი მოქალაქეები, რიგითი სამხედრო მოსამსახურები იხოცებოდნენ. ჩინიანები კი როგორც არაერთხელ თქმულა, გარბიან (ბრძოლის ველიდან ან ქვეყნიდან), ან სამიძობებს ამბობენ და სიამაყით აცხადებენ, ჯარისკაცები საქართველოსთვის დაიღუპნენ, პატივს ვცემთ მათ ხსოვნას, ოჯახების მწუხარებას ვიზიარებთ, მათ საამაყო შვილები ვყავართ.

თქვენ, განურჩევლად ჩინისა და რანგისა, თანამედრობისა და პასუხისმგებლობის ხარისხისა, არ გინდათ არ გინდათ გმირები გახდეთ?

აბა, წარმოიდგინეთ, არანაირი წინასაარსებო პიარი არ დაგვირდებათ (თუ რა თქმა უნდა, გადაჩენებით), თუ რიგითი მოქალაქეები, რიგითი ჯარისკაცები დაინახავენ, რომ თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ (კიდევ რომ გადაჩენთ, მაინც გადაჩენებით, რადგან ოჯახი და სამშობლო თქვენით იამაყებს და სამუდამოდ ემასოვრებით ყველას. იქნება არ გჯერათ ასეთი "ზღაპრების", რადგან თვითონ გადაატობთ მესხიერება ამ მხრივ?), იქ, ავღანეთის შორეულ მიწაზე, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

თუ ნატოში შესასვლელად მსხვერპლია საჭირო, განა თქვენ, როგორც ჩინიანის მსხვერპლი უფრო მრავლისმთქმელი არ იქნება მათთვის, ვინც მოწყალეობა უნდა გაიღოს?

აბა წარმოიდგინეთ, როგორ აუწყდება გული დედა ანგელას (მერკელს, რომელიც თურმე წინააღმდეგეა ჩვენი ნატოში შესვლისა) და კიდევ ბევრ სხვას, როდესაც შეიტყობენ, რომ ავღანეთში მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოდან რიგითებს კი არ უშვებენ, არამედ მაღალი თანამდებობის პირები მდიან, შვილებთან, ძმებთან, ნათესავებთან ერთად და ისინი

უღებებიან სათავეში ასეულებს, ბატალ-იონებს. დაეჯერო ასეთი "მსხვერპლი" (სიკვდილი ყველას ღმერთმა აშოროს) უფრო არ გაამართლებს?

იქნებ ეჭვი გეპარებათ და ფიქრობთ, რომ ნატოს საერთოდ არ სჭირდება მსხვერპლი და ამიტომაც დიდ სისულელედ მიგანიათ ასეთი "უაზრო" თავგანწირვა, მაგრამ ხმაშია ამათ აღიარების გეშინიათ, ან უბრალოდ თავის ატკივებას ერიდებით?

ან იქნებ გგონიათ, რომ თქვენი დაკარგვით საქართველო უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე, სხვა, ქართველი ჯარისკაცების, მაგრამ არა თქვენი ნათესავების და თქვენი შვილების სახით?

ან იქნებ არაფერი გსმენიათ ჩვენი ლეგენდარული წინაპრების შესახებ და არც ის იცით, როგორ ამართლებდა სწორედ პირველ პირთა მსხვერპლი (მეზობელია ეს სიტყვა, მაგრამ რახან მაინც მსხვერპლ-შემწირველებად ვრჩებით, სხვა გზა არ მჩნება და მას მოვიშველებ).

საბედნიეროდ უთვალავია მათი სახელები. მხოლოდ მცირედს შეგახსენებთ:

ვახტანგ გორგასალი ირანის შაჰის, კავადის ლაშქართან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მეგრე რა, რომ ღალატით „სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა“. დაჭრილ მეფეს ბრძოლის ველი არ დაუტოვებია – თავგანწირვით მებრძოლმა ქართველ მებრძობთან ერთად მრავლად გაუღიბა ირანელები. მომაკვდავი მეფე სიოციხის და ვაჟაკობის გამაძლიერებელი გახდა ერისთვის.

1566 წელს შაჰ თამაზმა ყარაბაღის ბეგლარები რომ დიდი ჯარით გამოგზავნა საქართველოს დასამორჩილებლად, ქართველმა ჯარი მტერს ქვემო ქართლს სოფელ გარისთან დახვდა. ხანდაზმულმა მეფე ლუარსაბმა სარდლობა შეიღოს სვიმონს (შვილს, შვილს, შვილს...) ჩააბარა. თვითონ კი სხვა მოსუც დიდებულებთან და მღვდელთმსახურებთან ერთად, ერთ-ერთ გორაზე დაბანაკდა და იქიდან ადევნებდა თავალს ომის მსვლელობას. უკუქცეული ყიზილბაშთა ერთ-ერთი ცხენოსანი რაზმი ტყვე შეეფარა და ასე აპირებდა გაქცევას. ისინი შემთხვევით გადაწყდნენ გორაკზე დაბანაკებულ მეფე ლუარსაბს და მის ამაღლას. მოხუცები არ შეუშინდნენ მტერს და შეებნენ მათ. გმირობის მაგალითს მეფე ლუარსაბი იძლეოდა. იარაღი შემოეჭერა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დატოვა. ცხენი ყიზილბაშთა ერთ-ერთ ცხენს დაატაკა და გადაავლო, მაგრამ მის ცხენსაც ფეხი ორმოში ჩაუვარდა. უცხენოდ დარჩენილი მეფე ყიზილბაშებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. ამასობაში სიმონ ბატონიშვილიც გამოჩნდა და ყიზილბაშთა ეს რაზმიც განადგურა, მაგრამ მეფე ლუარსაბი ამ ბრძოლაში დაიღუპა და დიდი პატივით მცხეთაში დაკრძალეს.

ლუარსაბ I-ის გარდაცვალების შემდეგ მეფე გახდა სვიმონ I, რომელმაც მთავარ მიზნად დაისახა ყიზილბაშთა განდევნა ქვეყნიდან. ამ მიზანს შეეწირა კიდევ, 1569 წელს შაჰ თამაზის უზარმაზარ

ლაშქართან შებმის დროს მოღალატე აზნაურის კახაბერ ყორღანაშვილის წყალობით მცირე ძალის ამარა დარჩენილი სვიმონ მეფე დაატყვევეს და ყაზვინში გაგზავნეს. შაჰ თამაზი ბევრს ეცადა დაეყოლიებინა სვიმონი გამაძლიანებულიყო და მის სამსახურში ჩამდგარიყო. მაგრამ მეფემ აღამუტის ციხეში გამოკეტვა ამჯობინა. ტყვეობიდან 1578 წელს გაათავისუფლეს, თუმცა, ამის შემდეგ კვლავ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს სვიმონი ოსმალებმა შეიპყრეს და 1611 წელს სვიმონი იელიფულის ციხეში, ტყვეობაში გარდაიცვალა. ქართველებმა დიდი საფასური გაიღეს და მეფე საქართველოში ჩამოასვენეს. სვიმონ I სვეტიცხოველში მამის გვერდით დაკრძალეს.

უფრო ადრე დემეტრე II-მ მონღოლთა ყაენს მოსაკეცად დაულო თავი საქართველოს გადასარჩენად. დემეტრე ის მეფე იყო, დამპყრობელის ინტერესებისთვის ბრძოლაში საუკეთესო მემკვიდრეობით რომ მონაწილეობდა, თან უკანა ფალანგებს უკადრისობდა და რჩეულ ქართველებს უფლებას აძლევდა არაფრისთვის (შესაძლოა მაშინ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ინტერესებისთვის) ბრძოლაში დახლოცილიყვნენ, მაგრამ თვითონაც მათ გვერდით ან წინ იყო თავდადებული. 1289 წლის 12 მარტს, როდესაც მოგაკანში, მდინარე მტკვრის პირას მეფე დემეტრე II-ს ყაენის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს, ერმა უდიდესი ტკივილით დაიტოვა.

"ნაცების" ხეობის ჟამს კი რა ხდებოდა? მეფისტოლა (შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სურდა, ასე შეეფასებინათ) პრეზიდენტი (საუბრაოა პრეზიდენტოფილ სააკაშვილზე – "ილორი") ავღანეთში, იქ, სადაც მაქსიმალური ზომები უნდა იყოს მიღებული სამშვიდობო ბატალიონების უსაფრთხოებისთვის, ჩადიოდა პირადი გამოცხენის მიზნით (თუმცა, გამომჩნაც არის და გამოჩნაც. სულელი ყოველთვის სულელი რჩებაო...) და ჯარისკაცებს კეთიხებოდა, აბა შენ რამდენი მოწინააღმდეგე მოკალიო. დაიხ, მეფისტოლა პრეზიდენტი ისე იქცეოდა, თითქოს ახარტული თანაშემის კლუბში ყოფილიყო სტრაიკოლის ან სხვა საბრძოლო თამაშის შემდეგ შეკრებულ "მეომრებთან" და მათ "შედეგებზე ემაჯირა". ამასთან, ამ ყოველად გაუმართლებელი დი-ალოგის ამსახველ ვიდეომასალას აერცვლებდა (როგორც ითქვა) პრეზიდენტის ადმინისტრაცია (უშუალოდ თუ არა, ამის უფლება ხომ მაინც მისცა ტელევიზიას ან ტელევიზიებს?) და ქართული ტელეკომპანია. ადმინისტრაციისთვის უცნობმა უშიშროების თანამშრომლებმა კაბინეტებში რადიკალური ვაჟკაცილობა რომ შეაკეთეს, ამაზე ადმინისტრატორმა ერთი ამბოვა ჰქმნა, ვიღაც ორი კაცი მოვიდა და "რაცხა ქნესო". მეგრე, კი, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ სიტყვას, რომელსაც ქვეყნის პირველი პირი ავღანეთში ამბობდა, ადმინისტრაციას გულგრილობა დაემართა და სიტყვა კი არა და "ყრანტალი" შეუ-

ლამაზებლად მოსდეს ქვეყანას. საერთოდ საქართველოში ხომ სახელმწიფო საიდუმლოება არ არსებობდა. არადა წლების წინ, ერაყში უმცროსი ბუშის ერთ-ერთი პირველი ვიზიტის დროს, თვითმფრინავის ბორტზე ორი ამერიკელი, ცნობილი ჟურნალისტი იმყოფებოდა. მათ ისე მოიარეს ერაყი აშშ-ის პრეზიდენტთან ერთად, რომ როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას შეეფარებოდა, საგულდაგულოდ შეინახეს ვიზიტის მარშრუტი და ბევრი დეტალი, სანამ დელეგაცია უკან მშვიდობით არ დაბრუნდა. ალბათ გონიერი კაცი იოლად წარმოიდგენს რა სიფრთხილით გაავრცელებდნენ ვიზიტის ამსახველ კადრებსაც. საქართველოში კი სამწუხაროდ სახელმწიფოებრივი საიდუმლოება, თანაც მედია საშუალებებისთვის, საერთოდ არ, ან სუსტად, არსებობდა. სააკაშვილის ავღანეთში ბოლო (საბედნიეროდ – უკანასკნელი) ყოფნის დროს გადაღებული საშინელი კადრების ნახვის შემდეგ გამახსენდა, პრეზიდენტმა 2012 წლის 20 თებერვალს რომ "იმარიაჯა" ავღანურ ბაზაზე. მაშინ სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. შემდეგ კიდევ...

ალბათ ოდესმე კი არა და მალე დადგინდება ვისი შექმნილია ცოტა ხნის წინ გავრცელებული საშინელი ვიდეოკლიპი, სადაც ტერორისტები ჯიჰადს უცხადებენ ქართველ "ჯგეროსნებს". დემეტრე ქნას, მართლა ტერორისტების ნამუშევარი იყოს და არაფერი ჰქონდეს საერთო ეჭვებთან, რომელმაც საზოგადოება შეიპყრო. ვიმედოვნებ, იმასაც სასწრაფოდ გამოიძიებენ, თუ რატომ მოხდა ისე, რომ ვიდეოს გავრცელების და ჯარისკაცებზე თავდასხმის ამბები ერთმანეთს საეკვოდ ოპერატიულად დაემთხვა და ალბათ კიდევ ბევრ რამეს გამოიძიებენ.

ვიმედოვნებ, საქართველოს ტრაგედია, რომელიც ავღანეთში ჯერ კიდევ ტრიალებს, მალე დასრულდება იმით, რომ მართლა პირტიტეკლა ბიჭებს (რიგითების უმრავლესობა ასეთია) ავღანეთიდან გამოიყვანონ და ჩაანაცვლებთ საკუთარი თავით, შვილებით, ნათესავებით (ასე პასუხისმგებლობის ხარისხი გაიზრდება. წინასწარ დაფიქრდებით, რამდენად იოლი იქნება მსხვერპლის გადატანა პირადად თქვენთვის, რამდენად სასიამოვნო იქნება თუნდაც იმის მოსმენა, რომ თქვენი შვილები, ძმები და ნათესავები გმირულად დაიღუპნენ. დემეტრე აშორით ეს, მაგრამ ავღანეთი ხომ ამისგან დაზღვევის სრულ გარანტიას ვერავის აძლევს) თქვენ ჩინიანებო, ვისაც უახლესი ისტორიიდანაც შეგახსენებთ დიდებულ მაგალითს, ყოული შარტავა მტრისგან ოკუპირებულ სოხუმში დარჩა მამია ალასანიასთან და სხვა შესანიშნავ ვაჟკაცებთან ერთად. ყოული წამოვიდოდა? ისინიც მშვიდობით წამოვიდოდნენ ალბათ, მაგრამ გმირობა გადაამდგინა და დიდი ძალა აქვს. იქნებ სურამის ციხისა არ იყოს, ნატო-ს კედელი საქართველოში იმიტომ ვერ ამოგვეყვას, რომ თქვენაირ "ზურაბებს" ითხოვს" ავღანეთში?!

ა. ლომიძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია

მიმდინარე წლის 2 ნოემბერს პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნების" პოლიტიკურმა საბჭომ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის პირველი პირის – საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბატონ ბიძინა ივანიშვილს შეცვლის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჯაროვდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაამტკიცა საპარლამენტო უმრავლესობამ, რასაც საზოგადოებისა და პოლიტიკური ექსპერტების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ქართულ საზოგადოებას წარუდგინა ირაკლი ღარიბაშვილი და დადებითად დაახასიათა იგი, როგორც პატიოსანი, თავისი საქმის ღრმად მცოდნე პროფესიონალი და საქმიანი ადამიანი. გაცხადდა ისიც, რომ ირაკლი ღარიბაშვილი გახდება კოალიციისა და პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნების" ლიდერი.

ეს მეორე რეზონანსული დანიშნვა გახლავთ მას შემდეგ, რაც ავადსახსენებელი გიგა ბოკერია საქართველოში პირველმა ქალმა-გენერალმა, პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ირინა იმერლიშვილმა შეცვალა, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე.

ვინ იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ეს 2013 წლის 24 ნოემბერს გაირკვევა – როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი საბოლოოდ დასტოვებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტს და სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლებს.

ამავე პერიოდში გაირკვევა ისიც, თუ ვინ შეინარჩუნებს თანამდებობებს ახალ მინისტრთა კაბინეტში.

აღნიშნული სამთავრობო ცვლილებების თაობაზე, დაწვრილებით ანალიტიკურ მასალებს, მკითხველებს მივაწვდით ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში.

საპ. 068.

ტალღებმა სოჭის სანაპიროზე დვთისმშობლის ხატი გამორიყა

უამრავი სასწაული მიეწერება ივერის ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ, ის, რაც ამას წინ მოხდა რუსეთში, მართლაც ერთ-ერთ სასწაულად არის მიჩნეული – 2013 წლის 23 ოქტომბერს, ძლიერი ქარიშხლის შემდეგ, ტალღებმა სოჭის საკურორტო დასახლება გოლოვიჩკაში, სანაპიროზე ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამორიყა.

სოჭის მოსახლეობა მომხდარს სასწაულს უწოდებს. ხატი სანაპიროზე ერთ-ერთმა დამსვენებელმა იპოვა და ახლომდებარე მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ეკლესიაში მიაბრძანა.

ხატზე დაწერის თარიღი – 1896 წელი და ავტორის, ან მფლობელის სახელი – მოსკოველი დეკანოზი ალექსანდრ სმირნოვი არის მითითებული. "გაფრცდით, რადგან რელიქვია ნაპირზე იმ დღით გამორიყა, როდესაც ეკლესია სწორედ ამ ხატს მიაგებს პატივს – 13 ოქტომბერს", – აღნიშნავს ტაძრის წინამძღვარი კონსტანტინე.

ღვთისმშობლის სახე, მიუხედავად ზღვის წყლის ზემოქმედებისა, კარგადაა შენახული. ხატი ვერცხლითა და ოქროთა მოჭკვილი და ძვირფასი ქვები ამშვენებს.

ამჟამად, ეკლესიის მსახური ოსტატებს ეძებს, რომლებიც ხატს რესტავრაციას გაუკეთებენ. მოველინის აღსანიშნავად ტაძარში სახეობი ლიტურგიის ჩატარება სურთ.



ილია ჭავჭავაძე და დუშეთი

(დიდი ილიას ხსოვნისადმი არაჯეროვან დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს ჩვენი მეგობარი და აქტიური ავტორი პროფესორი **თამაზ ბიბილური**)

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით დუშეთს კჳონდათ „ბაიბაღი“, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა. 13 აგვისტოს, სადილის შემდეგ დაუკრავდა ზურნა და ხალხი წამოვიდოდა ბაიბაღის გამოსაჩანად, რომელსაც მიიტანდნენ მოკლანზე. წინასწარ ამოირჩევენ თამადას. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა ღონისძიების მალაღონეზე ჩატარებას. ხალხი იკრიბებოდა და იმართებოდა დიდი გაჭენებული ცხენებიდან ესროდნენ მიზანში, ზოგი ჩამოეშვებოდა ცხენიდან და ისე კრეფდა ფულებს, ზოგი უნაგირზე ფეხზე მდგომი აჭენებდა ცხენს, ზოგიც უნაგირზე ყირამალა დგებოდა. ერთი სიტყვით, ყველა ცხენოსანი ცდილობდა მეტი სიმარდე და მოხერხებულობა გამოეჩინა. დიდი 2 საათს გრძელდებოდა. ამას მოჰყვებოდა ცეკვა. 5 საათისათვის ცხენოსნები გაუდგებოდნენ გზას. წინ მიუძღოდათ ამორჩეული ცხენოსნები, რომელთაც მიჰქონდათ ბაიბაღი, დამეს გაათევდნენ სამგლურში და 14 აგვისტოს შუადღემდე ავიდოდნენ სამებას (მდებარეობს უნაგირას მთაზე).

დღეობას სისტემატურად ესწრებოდნენ დუშეთის მაზრის მემამულეები: მუხრან-ბატონები, ხიმშიაშვილები, რატიშვილები, კობიაშვილები, ყარაგოზიშვილები და სხვ. დამეს ათევენენ კარვებში. საუკეთესო ადგილს ყოველთვის იხებდა ამაყი თავადი ივანე მუხრან-ბატონი, რომელიც თავისი ამაღლით ამოდიოდა მუხრანიდან. დიდი მწკანე მინდორი სახეე იყო მლოცველებით. წირვის შემდეგ იმართებოდა დიდი.

ივ. მუხრან-ბატონი თავისი კარვიდან ადევნებდა თვალყურს მოჯირითებს და საუკეთესოებს აჯილდოვებდა: ზოგს ვერცხლის ქაშრით, ზოგს ვერცხლის ჭიქით და ზოგსაც ვერცხლის საათით, ან ყანწით. ამას მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში და ბოლოს სადილი, რომელიც შუაღამემდე გრძელდებოდა. მეორე დღეს ბრუნდებოდნენ შინ. ზურნის ხმაზე დუშეთში, მოედანზე მოიყრიდა ხალხი თავს. კვლავ დიდი, სიმღერა და ცეკვა-თამაში იმართებოდა.

ხალხში

მწერლობა რაც უნდა ნიჭით ყოფილიყო შექმული, რაც უნდა ინტენსიური ყოფილიყო, ვერ უზრუნველყოფდა ავტორს მატერიალურად. როგორც ირკვევა, ილიას მწერლობისათვის არასოდეს აუღია პონორარი. მისთვის ლიტერატურული სასყიდელი არ არსებობდა. პონორარი არ აუღია მაშინაც, როცა 1892 წელს, „ქართ. გამომ. ამხანაგობამ“ იკისრა მის თხზულებათა პატარა ტომებად დაბეჭდვა. ილიას განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ის ამბობდა – „საღვთისმეტყველო გონიერადი ორპირი მახვილია: ერთი დიდად საჭიროა როგორც წყარო, ნიუთიერად უზრუნველყოფილი მწერლისა და, მაშასადამე, მისის დამოუკიდებლობისა, შემდგომად აძლევს მწერალს მთელი თავისი დრო და მოცალეობა გონებრივს მუშაობას შესწიროს. მეორეთი – სასყიდლის მიღება თითქო საგაჯრო საგნად ჰქმნის მწერლის ნაწარმოებს, მის ჭკუა-გონების ნაწარმს, რომელიც წმინდა გულთა და ზრახვით უნდა იყოს ჩაფიქრებული, შექმნილი და არა რა გრძნობა ანგარებისა არ უნდა იყოს შინ ჩარეული. გონიერადის გამოკიდებამ შესაძლოა გაიტაცოს მწერალი და ის, რაც მოკლედ ითქმის, სხარტულად და, მაშასადამე ძლიერებითა და მხატვრულის ზომიერებით, გააჭიანუროს და მით ნაწარმოებმა დაჰკარგოს მხატვრული ღირსება“.

ასე იყო თუ ისე, ილიამ გაწვევითა ფინანსური სახსრის მისაღებად სახელმწიფო სამსახურში შესულიყო. 1864 წლის დამდეგს ილია მიიღეს სამსახურში და გააგზავნეს იმერეთში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მინდობილობათა მოხელედ, ხოლო იმავე წლის მიწურულში ილია დაინიშნა დუშეთში მომრიგებელ შუაკაცად.

ილია მოწადინებული იყო კარგად დაეკვირვებოდა ურთიერთობას ნაემგვთა და ნაბატონართა შორის, ხელი შეეწყო მათი მშვიდობიანი თანარსებობისათვის. მიეცა შესაძლებლობა შეესწავლა გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრება,

ზნე-ჩვეულება; ხშირად ესაუბრებოდა „გლახის ნაამბობისა“ და სხვა თხზულებათა პროტოტიპებს.

ილიას ხანგრძლივ ყოფნას ხალხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებისათვის. სოფლად ცხოვრება, დაკვირვება და შესწავლა ცხოვრებისეული აუკარგისა, შთაბეჭდილებანი ბუნებისა, – მნიშვნელოვანი იყო მწერლის შემოქმედებაში. ილიას, როგორც მწერალს, ცხოვრებაში ჰქონდა ფესვები გადგმული, რაც სახრდოს მიმცემი იყო მისი შემოქმედებისათვის.

სოფლად სიარულის დროს, ილია იკმაყოფილებდა სურვილს და ჰკრებდა ზღაპრებსა და ლეგენდებს, აგროვებდა გლეხურ ლექსებს, ანდაზებსა და გამოცანებს, ყოველივეს, რაც ამდღევნებდა ხალხის სიხარულს, დარდსა და ნაღველს. ილიამ პროვინციაში ცხოვრებისა და სამსახურის დროს დაასრულა სტუდენტობა გააზრებული „გლახის ნაამბობი“; იქ დაიწერა „აზრდილი“, იქ გაიგონა ილიამ ლეგენდა, რომელიც საფუძვლად დაედო „განდევილს“, იქ შეთხზა სატირა: „რა ვაკეთო, რას ვშვრებოდი“, გამოითქვა მწკანე „გამოცანები“ და დაიწერა „პასუხის პასუხი“.

ილია – სამართლის დამცემი

1864 წლის ოქტომბერში საქართველოში ბატონყმობა გაუქმდა. სწორედ ამ დროს, ილია დაინიშნა დუშეთში, ჯერ მომრიგებელ-შუამავლად, – ევალებოდა მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის მოგვარება (გლეხებზე მიწების მიზომვა, საზღვრების დაზუსტება და სხვ.), ხოლო შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ. ილია, ცნობილია როგორც მშრომელი ხალხის, გლეხკაცობის ინტერესების დამცემი, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მრავალი დუშეთელი გლეხი უხსნიდა მემამულეთა და გათავსებულ მოხელეთა უსამართლობისაგან.

დუშეთში ჩასვლისთანავე ილია მონდომებით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. დაბეჭდვითი გლეხკაცობის ინტერესების დამცემი მწერალი, ზრუნავდა მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, გლეხებზე მიწების მიზომვისას ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მათთვის ნაყოფიერი მიწები მიეცა. იყო შემთხვევები, როცა ილია მებატონეთა ხარჯზე ნორმაზე მეტ სანაღველო მიწებს აძლევდა ნაემგვ გლეხებს.

ილიას ასეთი მოქმედება შეუმჩნეველი არ რჩებოდათ მებატონეებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ისინი ქედს იხრდნენ დიდი ილიას წინაშე.

ერთხელ ილიამ აღექსანდრე ჩრდილელის ყოფილ ყმას მიწა მიუხიმა. გლეხს მიწა ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა. თავადმა საზღვრის მოშლა დააპირა, მაგრამ ილიას დაუკითხავად ვერ გაბედა, მოახტა თავის შავ ტიატს და დუშეთისკენ გაქუსდა. აქოშინებული მივარდა ილიასთან და განუცხადა: „თავადიშვილო, რაშია საქმე, რო ის, რაც კანონიერი ზომია, იმაზე მეტი მოგიზომავს და დაგიკორღნია კიდევ? აბა მე გიცხადებ, აი მივდივარ და ერთი კარგადაც გავიწკებლავ იმ ძაღლის ლეკვებს და კორღნებსაც თავიანთი ბარებით ამოვაგდებინებ!“

ილიას დიდიხად მოუსმენია და ბოლოს უთქვამს: – ამოვადებ და შენც ამოვარდები შენი სახელ-კარიანად! ილიას პასუხით შემინებული მემამულე უსიტყვოდ გაიპარა ოთახიდან.

1868 წლის 1 თებერვალს ილია მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნეს დუშეთის მაზრაში. მშობლიური ქვეყნის აყვავებისათვის მებრძოლმა მწერალმა და მოსამართლემ ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა ბატონყმობის, ნადირღებისა და ყოყლონინა მოხელეთა წინააღმდეგ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროსაც განსაკუთრებული თანაგრძნობით ეპყრობოდა ილია სოფლის მშრომელებს, იცავდა მათ მემამულეთა და ჩინოვნიკთა მხრიდან შევიწროებისაგან. განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა გლეხთა ცხოვრებას, მათ სანივრებს და მემამულეებს კანონის მთელი სიმკაცრით ასამართლებდა. ამ ფაქტების დამადასტურებელ ილუსტრაციას წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები და

მასალები, კერძოდ ილიას მიერ 1868-1872 წლებში გამოტანილი განახეხები. აი ზოგიერთი მათგანი:

1870 წლის ოქტომბერში დუშეთის მაზრის აზნაურები ზურაბ და ელიზბარ აღექსნიშვილები დაუკითხავად შეიტრნენ დროებით ვალდებული გლეხის გიოლა ეკალაძის პურის ყანაში და 40 ძნა გაიტაცეს. დაზარალებულმა გ. ეკალაძემ აღექსნიშვილებს სასამართლოში უწივლა. სათანადო შესწავლის შემდეგ საქმე განიხილა დუშეთის მაზრის მომრიგებელმა მოსამართლემ ილია ჭავჭავაძემ. ბრალდებულ აღექსნიშვილებს დანაშაული დაუმტკიცდათ, რისთვისაც მიესაჯათ 6 დღით დუშეთის ციხეში პატიმრობა და დაზარალებულისათვის 12 მანეთის გადახდა. განახეხი ილიას უშუალო მეთვალყურეობით სისრულეში იქნა მოყვანილი.

1868 წლის 23 სექტემბერს ჩრდილელიანთკარვლმა აზნაურმა ალ. ჩრდილელმა სახაზინო გლეხ ნინიკა თომაშვილს ცხერის მოპარვა დასწამა, რისთვისაც ნ. თომაშვილის ოჯახს დაუბირა საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლება. შეიტრა ოჯახში და ნიუთები ეზოში გადმოუყარა. ნ. თომაშვილის საჩივრის საფუძველზე ილიამ გააჩნია საქმე და აზნაურ ალ. ჩრდილელს, გლეხ ნინიკა თომაშვილის ოჯახის შეურაცხყოფისათვის მიუსაჯა ორი კვირით პატიმრობა.

ყმების გაყიდვა-გაჩაჩქრებას ჩვეულება ნაბატონრებმა, როცა ეკონომიკურად მოღონიერდნენ, ნაემგვ გლეხთა კვლავ ყმებად ყოლა მოსურვეს. ისინი ვერ იტანდნენ ნაემგვ გლეხებთან ერთად საზოგადოებაში ყოფნას, არ კადრულობდნენ გლეხებთან საუბარს. ეს უკადრისობა შეუღლსა და უკმაყოფილებას აღვივებდა გლეხებსა და მემამულეებს შორის. გლეხები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ბოროტი ზრახვებით შეპყრობილ თავადებს და ნაბატონრებს. საქმე ხშირად ლანძღვა-გინებთან და ცემატყუებით მთავრდებოდა. შემდეგ იწყებოდა საჩივრები სასამართლოში. დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე ილია ჭავჭავაძე ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გლეხთა ინტერესებს იცავდა.

1869 წლის ივლისში მჭადიჯერელმა მემამულე იოსებ კლიმიევმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გლეხ გიო წულიაშვილს. ამ უკანასკნელმა მემამულეს შეაგინა, რისთვისაც ი. კლიმიევმა უწივლა გ. წულიაშვილს. გიო წულიაშვილი დააპატიმრეს. მემამულე დარწმუნებული იყო, რომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ილიამ გულდასმით შეისწავლა საქმე, ადგილზე დაკითხა მოწმეები და გლეხი წულიაშვილი ყოველგვარი სასჯელისაგან გაათავისუფლა.

თავადმა გიორგი ხიმშიაშვილმა ორჯერ სრულიად უდანაშაულოდ სცემა ჯოხით გლეხი დაითო წამალაძე, თან დედ-მამა აგინა. გლეხმა დ. წამალაძემ ილიასთან უწივლა ხიმშიაშვილს. 1872 წლის 11 სექტემბერს გ. ხიმშიაშვილის საქმე განიხილა სამაზრო სასამართლომ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. ბრალდებულ თავად გიორგი ხიმშიაშვილს სასამართლომ სამი თოთ დუშეთის ციხეში პატიმრობა და ამავე დროს სასამართლო ხარჯების გადახდა მიუსაჯა.

სასამართლო საქმეების დიდი ნაწილი, რომელიც ილიას მიერ არის გარჩეული, შეეხება საჩივრებს მამულის თაობაზე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მეფის სასამართლოს ძირითად საქმიანობას მამულების მიტაცებამითვისების საქმეების გარჩევა-დამტკიცება შეადგენდა.

თამაზ ბიბილური,
პროფესორი, საზოგადოება „ილიელი“-ს თავმჯდომარე

პოეზიის კუთხე

ბინაროდენ!

არა თოფით,
არა დანით
და ნარჩვევად არადანით,
გზის მოძებნას გვთხოვდა
გალო
ღირსეული არჩევანის.

და ვინც გეშლიდა,
როცა ვშლიდით,
ქვეყნის ახალ ფურცელს ვშლიდით,
ამიტომაც იყო მშვიდი
ოქტომბრის თვის ოცდაშვიდი.

გიხაროდენ!
ცრუ და ფლიდი
დამარცხდა და რადგან მიდის.
სხვა სიერცემი გადაფორინდით,
სულ სხვა დროში გა-
დაფორინდით!

მინც არ აქვთ იოლი გზა
ბიძინას და გიორგისა!
ალექსანდრე შინბელია

ვემბოტე დო ვემბოტე
გურს დანხირი ელმორზუნი,
სი შეიღებ თიმ შქიროტუა,
ოდო შური ქენმაქანცენ
ვემბოტე დო ვემბოტე...

სქანი უმშო ვეგნმადინე
კაკალია დლა დო სერი,
თეს ვარწყექო, ვირაგადუქ
დ კოს თოღშა ეწმასერუ...

იმენდ მიღუ, დუშქოტუქ,
შურსე თისე ვინეროტუა,
ცა დო დისაქ ეკინწყუასენ
ვემბოტე დო ვემბოტე

მა მილინდას, სი ცოფედა,
სასაფულეს ქიგმოთუას,
ჩქიმ შურ თვერე ვემბოტენსე
მა სი ათაქ ვემბოტე...
რამაზ კუპრა

პოეტ ვასილ ბენელიას
ვინც დემონურ ცეცხლს არ
მონობს,

პოეზიით მაშვრალია,
კოლხურ ლექსის იადონო,
ნოსირელო „მავშალია“.

ხმა ზეციურს რომ გადარებ,
შენგან მესმის ხმები ცისა,
ელვას გულით დაბატარებ,
სული კი არ გაიცრიცა.

სუფიანარევე იმედებმა
უნუგეშოდ არ დაგვტოვა,
მეტ რაღას გაიმეტებდა,
ლექსი ნექტრად დაგიტოვა.

ვეფერები სიბრძნის ახოს,
შფოთავ პოეზიის ქარო,
ჯიბეში მაქვს გულთან ახლოს,
ის ლექსები, ჯადოქარო!

რაც მე სორცში სულს მიუნ-
ჯებს,
ვით კამკამა ცის სილურჯეს,
ხან მალონებს, ხან მამუნჯებს,
ვერ ვეღვე ამ საუნჯეს.

სხვა ლექსებიც მოღადანე
მზის სინათლეს დღეს ელიან,
სალამი და გეთაყვანე,
მმაო, ვასილ ბესელია.

ჯემალ ჯიძია

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა
2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს **ჯალალონია-ჯალალანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალალანიას სახელზე)**. მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალანია**).

საქართველო, როგორც მოცნობილი...

როგორ გაზეთი "ილარი" იუწყებოდა, აიპ „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ სულ ახლახან გამოსცა პოლიტიკურ აღქმასთან დაკავშირებული წიგნები, რომელთა შორის არის „საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა“ და „საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის გეგმა“.

გარდა ამისა, ჟურნალმა „ილარი“ უძველესი „საქართველოს ისტორიის“ ჟურნალის რეკონსტრუქციას დაიწყო. გარდა ამისა, ჟურნალმა „ილარი“ უძველესი „საქართველოს ისტორიის“ ჟურნალის რეკონსტრუქციას დაიწყო. გარდა ამისა, ჟურნალმა „ილარი“ უძველესი „საქართველოს ისტორიის“ ჟურნალის რეკონსტრუქციას დაიწყო.

საქართველო, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლების წინაშე იდგა და დგას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტური რეგიონების პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებაა.

არაკრთხელ განუცხადებიათ, რომ „აფხაზეთისა და სამხალის დაბრუნების გზა მხოლოდ რუსეთზე გადის“, რომ ეს საქითხ უშუალოდ დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენს მიღებისთანავე. თითქოს აქსიომატ კია, რომ „სათბარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არაფრის მიიღებს“ (გვ. 21).

რეალბა მართლაც ასეთია. მაშ, ნატოში ჩვენი შეხვლა უდაბნოს მირაჟია მხოლოდ? ბატონ ალექსანდრე ჭაჭია, ცხადია, როგორც ყველა პატრიოტ ქართველს, აწუხებს ეს პრობლემა, მაგრამ, როგორც ჯეშმარიტი მეცნიერი და გამოცდილი ანალიტიკოსი, იგი უარს ამბობს ნებისმიერ ემოციურ მიხედვას. პათეტური უაზრობაზე და დინჯად განსჯის. მას მიაჩნია, რომ თორიულად საქართველოს აქვს შანსი ნატოს წევრობის, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე ყოველგვარ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ.

ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, - წერს იგი, - დასაყლოთბან კულარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მხადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იცია, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებლია ქართველ საზოგადოებაში. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა გააძლიერდება და შეკეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლენისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გვხვდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მონწვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადაღობაც უკვე შეუძლებელი გახდება.

ნატოს არახორციელს, არხად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, ხადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვანისხელმწიფოდ დაწლა მოჰყვა“ (გვ. 22).

ასე გვაფრთხილებს ბატონ ალექსანდრე ჭაჭია, რაც უთუოდ ნიშანდობლივია და ყურაღდება მისაქცევია.

მაშ, ხადაა გამოსაყალი, ის გზა, რომელიც აფხაზეთის (ცხინვალთან ერთად) დაბრუნების საქითხს გადაგვაწვევტინებს? ანალიტიკოსის აზრით, ასეთი გზა, უფორ უხუსტად რომ ვთქვათ, პროგნოზმა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ იგი აფხაზეთ მხარესთან ერთად იქნება შემოშავებული რუსეთის ფედერაციის შუამავლობით“. ბატონ ჭაჭია ამას რომ აცხადებს, შეიძლება ვერცხოთ, რადგან იგი კარგად იცნობს სიტუაციას აფხაზეთში, პირადი ურთიერთობა აკავშირებს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, პლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებთან. სამწუხაროდ, აფხაზეთთან სიტუაციის დაღაგებაში ქვეყნის ხელმძღვანელობას იგი გამოყენებული არ ჰყავს.

სამწუხაროა. ეს კი ხდება იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არ გამოქინილა პიროვნება, რომელთან ერთადც აფხაზეთი მიუსხედოდა და მადიდან რეინტეგრაციის პრობლემებზე მოსაღაპრაკებლად, თანაც თუ რუსეთი დადებითად შეხვდებოდა ასეთი კაცის ასპარეზეზე გამოჩინებას.

გადავიკვრის თუ არა ნატო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, საეჭვოა; უფრო მეტიც, - დაუჯერებელია.

აგტორის კრიტიკული პათოსი ვრცელდება ამ მიმართებით ახალი ხელისუფლების მოღვაწეობაზეც, რომელიც, მისი აზრით, უფექტოა. უფორ მეტიც - ეფექტიანობა „ჯერჯერობით მისალღონდელიც არ არის. კარგია ის, რომ შეიცვალა რიტორიკა, ნაკლებია რუსეთის, აფხაზეთ და ოსი ხელმძღვანელების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოსხდომები“. თუმცა „ის მანძი იგრძნობა, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით. ყოფილი ხელისუფლება ამით დაინტერესებული არ ყოფილა“ (გვ. 63).

აგტორი კრიტიკულად აანალიზებს შექმნილ მდღომარეობას და პირდაპირ გვეუბნება: ნატოში საქართველოს შესელოდ უშუალოდ თურქეთია დაინტერესებული. რატომ? იმდროინდელი, რომ ეს მას „მიხედვს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს და ნატოს ბაზეების ეგვიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, ხადიდანაც 150 წლის წინათ ისინი რუსებმა გაყარეს“ (გვ. 23).

ამიტომ ნატო ჩვენთვის არც ხეალინდელი დღვა, არც პანაცეა ყველა პრობლემის გადასაწვერად.

ეროვნულ მოძრაობის გარიჟრაჟზე ერთი ახალგაზრდა კაცი, ირაკლი წერეთელი, რომელიც ამ მოძრაობის ხელმძღვანელობით შედიოდა იმ დროს გამართულ ყველა მიტინგზე ნატოს ჯარების საქართველოში შეღოყვანას მოითხოვდა, მა-

გრამ სწორედ იმ დასაყლოთში, კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის.

ეს იყო პირველი - „რომანტიკულ პერიოდში“ გაცდებული ოცნება.

მეორე თურქეთის პრობლემაა, რომელთან დამოკიდებულბაა, ანუ ამ ქვეყანასთან ჩვენი ურთიერთობა, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას აზრით, შემდეგი გარემოებებით უნდა იყოს განსაზღვრული:

„პირველი - თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასაყლოდ საქართველოს - საყუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;

მეორე - თურქები თელიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთს და არა საქართველოს;

მესამე - თურქეთი ისღამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ხეხსახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გავლენოს;

მეოთხე - ერთის მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმი მიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის აგტომობის გარანტის როლზე უარის თქმადღე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსყლაძდე“ (გვ. 37).

ალექსანდრე ჭაჭია ობიექტურია ბატონ ივანიშვილის რთლის შეფასებაში. მისი საზოგადოებრივ ანაზრეზე აცხადებს იგი, „რეჟიმისადმი ხალხის შეუწნარებლობის ტალღამ“ მოიყვანა, „ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით“.

აგტორი მადლდ შეფასებს აძღვებს მას, როგორც რეალურ პოლიტიკოსს, პროგნოზიკოსს, რომელსაც „მშვენივრად ესმის, რომ ცრუ მიზნები ხალხის დეზორიენტირებას ახდენს, შეუძლებელს ხდის საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის კატასტროფიდან გამოსაყვანად ძალისხმევის კონცენტირებას“.

სწორედ აქ ჩანს, რომ ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც ანალიტიკოსის, თავის კრიტიკულ შეფასებებში (რახეც ზემოთ ვილაპარაკეთ), სრულიად გამორიცხული აქვს სუბიექტური ფაქტორი, პიროვნული დაინტერესება, მით უფრო, დაპირისპირება. მისთვის პრინციპული ამოსაყალი ის რეალბაა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ივანიშვილის მთავრებულმა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ „იგი დირსეულად იქცევა“.

მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ ალექსანდრე ჭაჭია თავისი მსოფლმხედველობით მრწამის მიხედვით ფართომასშტაბიანი ანალიტიკოსია, რომელიც ერთი ქვეყნის ვიწრო ინტერესებით არ იფარგლება, მისი უზმალდი გლობალური პოლიტიკის ოკეანეში არჩეული კურსით მოძრაობს. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ქართველი პოლიტიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობებში ქართული პოლიტიკის ერთგული გამტარებელია. მაგრამ ამას აკეთებს არც კოებოური მიხტომით, არც ბურლაკების უსიტყვეო მორჩილებით, რომლებიც იძულებით მიჰყვიროდენ ვოლგის ნაპირებს, რადგან სხვა გზა და სხვა მიზანი არ გააჩნდათ.

ალექსანდრე ჭაჭია შემოქმედებითი მეგლეგარია: მას დაუნებლობდით კრიტიკაც ხელეწიფება და არც პოზიტივის დაუნახაობის ჭირი ჭირს.

„საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც მას გაზეთის მთავარ რედაქტორმა ირაკლი თოღუამ ჩამოართვა 2013 წლის თებერვალში (თუ მორჩილად მიყვებით თავისეველ „დირებულეებს“, დავადრებებით), იგი აცხადებს:

„მაქციეთ ყურადღება - ივანიშვილი არხად იჩემებს, რომ საქართველოს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში, არ ახახელებს კონკრეტულ თარიღებს, როგორც ამას პერიოდულად აკეთებდნენ შეგარდნამე და საქართველომ ბევრი უნდა იმუშაოს ევროკავშირის სტადარტიზაციის მისახალხოებად, და ეს სწორია. ევროპულ პრაქტიკაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩვენ უნდა ავითვისოთ, მაგრამ არა ჩვენს სინამდევლოში ხელფონური გადმოტანით, ბრმა კოპირებით, არამედ შერწყმის, ცხოვრების მოწყობის ტრადიციულ ქართულ მოდელთან ურთიერთშედვევის ზით“ (გვ. 67).

მაგრამ ამის გაკეთება, ამ პოლიტიკური გზით ხარული შეუძლებელია იმიტომ, რომ არ გავტეს ეროვნული იდეა რომელიც, „სახელმწიფო ონებე დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. იდეის გარეშე კი სახელმწიფო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“ (გვ. 242).

იყო კი მცდელობა ასეთი იდეის ჩამოყალიბების? იყო. ყრისა და სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის მის მიერ დამუშავებული ვარიანტი ალექსანდრე ჭაჭიამ შესთავაზა ყოფილ ხელისუფლებას, იმის წინახაც, მაგრამ ერთს არ სჭირდებოდა, მეორემ უსარგებლო თეორიად მიიჩნია.

„ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს, - ამბობს ბატონი ალექსანდრე, - ჯერ კიდევ 2005 წელს გაზეთ „ილარი“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში „თუ გავსურს, ვრად დავტრეე და სახელმწიფო გვეტონდეს“ თეორიად რადაც ზედმეტად უსარგებლოდ წარმოიდგინათ. არადა, ოსტე სტალინმა 1951 წელს, როცა უკვე შექმნილი ჰქონდა კოლოსალური ხე-სახელმწიფო ბირთვული შეიარადებითა და ფანტასტიკური ეკონომიკური ზრდით, ქვეყნის განვითარების ახალ ეკონომიკურ თეორიაზე დაიწყო მუშაობა და განაცხადა: „თეორიის გარეშე დავიდრებობით!“ (ოქვე).

ასეთი თეორია დღესაც არ ჩანს და საწყხარი ეს არის.

რეალური პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია ჩვენს საზოგადოებობას ყოველთვის აფრთხილებდა, რომ არ მოცველყოთ პოინციული თავდაჯერების გავლენის ქვეშ, თითქოს მთელ ქვეყნიურებას საქართველოზე ამოსდის მზე და მთვარე. „როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგყურებს, დაინტერესებულია ჩვენი ბედით და დღე და ღამ ჩვენს მომავალზე ზრუნავს, კი სიცრუეა. მსოფლიოში საქართველოს შესახებ ან საერთოდ საქმის კურსში არ არიან, ანდა იცნობენ, როგორც ერთსოფლიოქციების ერთ-ერთ კერას“ (გვ. 290).

ეს ციტატა ამოდებულია 2006 წლის ოქტომბერში გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისთვის“ მიცემული ინტერვიუდან.

ეს მომენტზე განსაკუთრებით საყურადღებოა სააკაშვილის მმართველობის ობიექტურად შესაფასებლად, როცა ყოფილი ხელისუფლება მთელ ქვეყანას ვირტუალურ რეალბაში გვაცხადებდა ამ „რეალბის“ მოთვარი პუნქტი (ბოლვითი იდეა პრეზიდენტ ბუშის) საქართველოს დემოკრატიის შექურად გამოცხადება იყო.

დღეს, ანუ 27 ოქტომბრის საბრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ყველა - შინ და გარეთ - თავისუფლდება ამ უაზრობისგან, რახეც ჯერ კიდევ 2006 წელს მიგვითითებდა ალექსანდრე ჭაჭია.

ბატონ ეს რომ იყოს! წიგნის წინათქმაში სწორადღა შენიშნულია: „თუ კონკრეტული მოქმედი პირების გვარებს და ასევე თარიღებს შეეცდომით, ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდლობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილას, არც ხელისუფლება“.

ამ დებულების ქეშმარიტებაში მკითხველი სრულად დარწმუნდება, როცა განსახილველ მეორე ტომში წაიკითხავს ისეთ პუბლიკაციებს, როგორც: „ავგიუსტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა“; „საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი - ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორთოდე თეგში დაივიწყებენ მის არსებობას“, „ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში“; „ჩინეთის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მტკივნეული და საწყენია, რომ ჩემი სამშობლო გადაიქცა ვიდაციის კოლონიურ დასამტად მართონტული პოლიტიკური კლასით“; „მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როცა ხელისუფლებაში სერგი პაგავში და მისი თათბის წარმომადგენლები იყვნენ“ და კიდევ მრავალ სხვას.

დაბოლოს: ალექსანდრე ჭაჭიას წიგნი „საქართველო, როგორხეც ვიცნობობდი“ არის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია ერთი გულმხურავად კაცის მიერ მეცნიერული დამაჯერებლობით დასახული და გადმოცემული; მატანავ, რომელიც შეიძლება სუბიექტური მიდგომისგან თავისუფალი და სტერილური ობიექტურობით გამოჩეული არ არის, მაგრამ დაშუტულია ადამიანური განცდებითა და გულისტიკივით და ამიტომაც დამაჯერებელია.

წაიკითხეთ პასაჟი, რომელსაც აქვე ვთავზობთ და ამაში თქვენც დარწმუნდებით:

„...ქართულ ინტერესებს, პირველ რიგში, ქართველი კაცი უნდა ემსახურებოდეს და საქართველოზე, პირველ რიგში, ქართველი უნდა ზრუნავდეს. საყოთარ ქვეყანაში ქართველმა კაცმა უნდა იგრძნოს თავი კარგად და ჩვენი მოძემ ხალხებიც მხოლოდ ამის შემდეგ იცხოვრებენ აქ კარგად. ქართველებს მინდა ვუთხრა: მძებო, დებო, იქნებ ჯერ ჩვენ თვითონ მივხედოთ საქართველოს და მერე ვიქნებით სხვისი იმედი? სწორედ ასეთი პრინციპით უნდა ვაშენოთ ქართული, ეროვნული სახელმწიფო“ (გვ. 41).

არმაზ სანაბლიძე

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურბუქცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორი" №238-243

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს. ბალზაჰი ჭეშმარიტება არ იზარბება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს. უილერი

რა არის აქ გაუგებარი?! ან სიმართლის დანახვა არ უნდა გინდოდეს, ან კიდევ რუსულად ვერ კითხვობდნენ. ეუიქრობ, აქ ორივე შემთხვევაზეა გვაქვს საქმე! სამწუხაროა, რომ ჩემი ოპონენტები ვერ ხვდებიან, უბრალოდ, არ უნდათ დაინახონ, თუ როგორ აფასებს წიგნის ავტორი აფხაზეთში იმ დროისთვის არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს. მაგრამ ეს მათ სინდისზე იყო! მოდი და მწარედ ნუ გაიღიმებ: ჯერ კიდევ გამახარია საუკუნედად უფრო მეტი მიხვნი იმას, რაც ნებისმიერმა სკოლის მოსწავლემ კარგად იცის – რომ აფხაზეთი საქართველოა და ის კოლხეთთანაა ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია. „ეს ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა“, – ამბობს ბატონი ჯემალევი და სვამს კითხვას: „ბატონი ნაპო რატომ ამტკიცებს საპირისპიროს? რა მიზანს ისახავს? რატომ უჭერს მხარს მოწინააღმდეგე უპრინციპულს საკითხში, რომელშიც ვერ ან ძალიან ცუდად ვერცხვავ? თავისთავად აკეთებს ყოველივე ამას, თუ ვიღაცა აიძულებს?“ ან კიდევ: „მთელი წიგნი, მასში მოტანილი რაღაცეები ფაქტების, რეალური მოვლენების ანალიზიც კი, ეფუძნება წმინდა წყლის სეპარატისტულ და ოკუპანტის იმპერიულ იდეოლოგიას, ამიტომაც იგი მიუღებელია არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად“. შემდეგ: „რა იდეოლოგიას ეფუძნება ბ-ნი ნაპოს წიგნი და რა საერთო აქვს მას სეპარატისტულ თუ იმპერიულ იდეოლოგიასთან? პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ 2008 წელს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარა, ბატონები ვ. პუტინი და ს. ლავროვი ძალიან დიდხანს იყვნენ დაკავებული უკანონო გადაწყვეტილებების ისტორიული „დასაბუთებით“, უცხოელებთან შეხვედრაზე ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, რომ 1921-1930 წლებში აფხაზეთი იყო სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც 1931 წელს ქართველმა ი. სტალინმა ძალით შეიყვანა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით, აფხაზეთის აღიარებით ისტორიული „სამართლიანობა“ აღდგა (იხილეთ (!)). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს არსებული სიცრუე დიდი ხანია გაცემტვერებულია.

ბ-ნი ნაპო თავისი წიგნის მე-15-16 გვერდებზე ხელმძღვანელობს სწორედ სეპარატისტებისა და ოკუპანტების მიერ შეთხზული ამ ზღაპრებით და არა ისტორიული სინამდვილით, რითაც ძალაუფლებად ამართლებს მოწინააღმდეგეს. რატომ, რისთვის, რა მიზნით?..

ეს ამონარიდები ჯემალევი გამახარიას წერილებიდან და ისინი (მისგან განსხვავებით) მომეკავს მთლიანად, კონტექსტიდან ამოგლეჯის გარეშე. როგორც ხედავთ, ჩემი ოპონენტი ძალიან „რთულ“ კითხვებს სვამს და რამდენად კანონზომიერი და მართებულია მათი ამგვარად დასმა, მკითხველმა თავად განსაჯოს. მე მასთან კამათს უკვე აღარ ვაპირებ, მით უფრო, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვას ისედაც დიდი დრო მოვანდომე და, შეძლებისდაგვარად, დავანახე მკითხველს, თუ როგორ მოუხდებოდა აქალებზე ჩემი „კეთილმოსურნე“ ოპონენტები ჩემს მიერ მოყვანილ ფაქტებს, ჩემს მოსახერხებელს და შეხედულებებს. ასე რომ, ვისაც ამის უნარი შესწევს, თავად გაარჩევს თეთრსა და შავს, მტყუანსა და მართალს, ის გამოგვიტანს ყველას შესაფერის ვერდიქტს.

მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი, საქმე უფრო სერიოზულად! ისეთი პრადეგებების მიყენება, კიდევ კარგი, 1937 წელი არ არის, თორემ კიდევთან მიმავლებდნენ, ან, ყველაზე მცირედ, მაგადანს უკან დამატოვებინებდნენ. დასმენა და ჩამოშვება ამას პქვი! ხედავთ, სადამდე, რა დონის აბსურდამდე მიდის საქმე?! თურმე უბრალოდ კი არ ვცდები, არამედ „პატრონი“ მეცავს და მის დავალებებს ვასრულებ!

ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ჯემალევი გამახარია და მისი თანამოკალემი ვერც პოლიტიკურ გარემოში და ვეღარც დროში ახერხებენ ორიენტაციას! მათ, ალბათ, დაეწყებიათ, რომ ჩემი წიგნები 2009 და 2011 წლებში გამოვიდა, ხოლო რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და აღიარება 2008 წლის აგვისტოში – ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის სარდლობით მიხარე ცხინვალის დაბოძების, რეგიონში მიმდებარე ტექნიკით შეიჭრისა და იქ განცდილი სრული ფიზიკური შედეგის მოხდა.

ძალზე გულსატკეპია, რომ ბ-ნი გამახარია და მის „პადვლენიკებს“ ისეთი ფანტაზიები, როგორცაა: საღი აზრი, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, პატივსენება და ა. შ., ერთ მხარეს დაჩვენიათ, ხოლო კალამი სულ სხვაგან გაქცევილია. აშკარაა, აქ უფრო სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემებთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს!

სინანული და თანაგრძობა ყველა დევისიონური ადამიანის ვალია, მაგრამ როდესაც გეპაუტრებიან მე-5 კოლონაზე, ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმე-ანობაზე, უფრო სწორად, ბრალს გვებენ უცხო ქვეყნის მომსახურებაში, სამშობლოს ღალატში და „თანამედროვე შადიმანს“ ვიწოდებენ, თანაც ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მრავალი წელია გიცნობენ და მშვენივრად იციან, რაზე ხარ წამსვლელი და რაზე – არა, მერწმუნეთ, ასეთ დროს სიმშვიდის შენარუნება ნებისმიერს გაუჭირდება. მითუმეტეს, როცა ამას გეუბნება კაცი, რომლის სინდისზეცაა (მურმან ომანიძისთან, გივი ლომინაძისთან და სხვებთან ერთად) აფხაზეთში ე.წ. დისპროპორციული (28:26:11 კვოტებით), სინამდვილეში კი აპარტიდული საარჩევნო კანონის მიღება. კანონისა, რომელმაც იმთავითვე განაპირობა მიღებული სავალალო შედეგები. ეს კაცი, ბატონ ლომინაძისთან ერთად, ურცხვად ატყუებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაეს საბჭოს სხდომაზე ისე წარუდგინა აფხაზეთის, თითქოს იქ სრული იდლია ყოფილიყო; სწორედ იგი არწმუნებდა ყველას ზემოხსენებული დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების აუცილებლობაში და მის ეფექტურობაში, იმაზე კი არაფერს ამბობდა, რის სანაცვლოდ უნდა დაეთმო ქართულ მხარეს ასე საკუთარი ინტერესები.

სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე გვქონდა ფარულ გარიგებასთან, გაუგონარ ღალატთან – დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღების სანაცვლოდ, ნუგზარ მაგლობლიშვილის ჯგუფი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გაიყვანა თავისი კანდიდატურას (სავარაუდოდ, გივი ლომინაძეს ან თავად ნუგზარ მაგლობლიშვილს), რომელიც ვ. პუტინთან ერთად, ერთ პაკეტში იქნებოდა არჩეული. ყოველივე ეს მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც უმაღლესი საბჭოს მუშაობის დაწყებამდე ორივე დღით ადრე, ეს შეთანხმება უხეშად დაირღვა. საქმე ის გახლდათ, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სულ სხვა კანდიდატურა დაასახელა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ მათი გეგმა ჩაიშალა.

ამ მოვლენების თვითმხილველი თავად გახლდით, როგორც დეპუტატი ქართულ-აფხაზეთი უმთავრესი კომისიის რიგითი წევრი. ერთ-ერთ სხდომაზე, ჩემს გარდა, ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ბატონები: ნ. მაგლობლიშვილი, თ. მჭავია,

თ. ლორთქიფანიძე, ა. გასვიანი, და შს მინისტრი გ. ლომინაძე (არადეპუტატი), ხოლო აფხაზეთ მხარეს – კ. ოზგანი, ხ. ბაღაფში, დ. ფილია და ასევე არადეპუტატი ა. ჯერგენია. მსჯელობისას მე ხმამაღლა შევნიშნე: რატომ აკეთებთ ამას, ამის გაკეთება არ შეიძლება-მეთქი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია, ჩემსკენ არც გამოუხედავთ. შეწუბობილ საუბარში რატომღაც, არადეპუტატებს – გივი ლომინაძესა და ანრი ჯერგენიას შორის მიმდინარეობდა, სხვები კი უბრალო სტატისტიკის როლში იმყოფებოდნენ (გვ. 98-99).

რა დამავიწყებს, როგორ გარბოდა ნუგზარ მაგლობლიშვილი თავისი ჯგუფის თანხლებით პარლამენტის სხდომებიდან! ამ ადამიანების უგერგილობასა და უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც აღარ დირს – მათ ხომ სხვებზე ბევრად ადრე მიატოვეს აფხაზეთი?! მაგრამ აფხაზეთ მხარესთან მიღწეული შეთანხმების დარღვევა უკვე აშკარა ღალატი იყო! ეს იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ ანაცვალდებენ ზოგიერთი საკუთარ ამბიციებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

ის, რაც აფხაზეთში ჩაიდინეთ თქვენ და თქვენმა თანამზრახველებმა, მათ შორის და პირველ რიგში თქვენი თავკაცობით (აფხაზეთ მხარესთან ფარული გარიგებით) მიღებული აპარტიდული საარჩევნო კანონის საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის, ჩვენო „პეიჯი-ფასო“, ნუგზარ მაგლობლიშვილი! ეს თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ არის უმაღლესი დონის შადიმანობა – შადიმანობის მწვერვალი!

ხალხმა იცის ყველაფერი ეს, და მას თქვენ უკვე ვერ გადაარწმუნებთ!

სულ ტყუილად ცდილობთ, ეროვნული მოძრაობასა და ეროვნულ დროშას აძოვფართო და ასე საკუთარი ორგულობა მიჩქმალთ! ჩვენს ქვეყანას, თუნდაც უკანასკნელ წლებში, არაერთი ასეთი შადიმანობა ახსოვს, კარგად მიაღწევთ თვალწერი, აი, რა არის შადიმანობა:

– შადიმანობაა, როდესაც მტერს ხელს უწყობს ან კიდევ განზე დგები და არაფერს აკეთებ შენს ქვეყანაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად;

– შადიმანობაა, როდესაც საკუთარ ამბიციებს ქვეყნის ინტერესებს ანაცვალდებ, რასაც მოჰყვება სისხლისღვრა და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი;

ნაპო მუსხია,
პროფესორი

ანტონ ჩეხოვი – მოთხრობის უბადლო ოსტატი



ჩეხოვი თავისი მოთხრობებით გვეუბნება, რომ ჩვენს ბედს ჩვენვე განვსაზღვრავთ, პირადად ვაგებთ პასუხს იმაზე, რასაც ვირჩევთ ცხოვრებაში

მსოფლიო კლასიკოსი ანტონ ჩეხოვი მოთხრობის უბადლო ოსტატი. მწერალი აკვირდება რეალობას, წარმოაჩენს მისი თანამედროვე საზოგადოების უბადრუკობას, ილაშქრებს მემჩანობის, ფუქსავატობის, უსულგულობის წინააღმდეგ, მოუწოდებს ადამიანს, გააკეთოს სულიერი და ზნეობრივი არჩევანი და ასე იქცეს პიროვნებად. ჩეხოვის მოთხრობების კითხვისას თვალწინ იშლება ადამიანის ბედი – ხშირად დრამატული, ტრაგიკულიც კი. მაგრამ, რაც მთავარია, მწერალი თავისი მოთხრობებით გვეუბნება, რომ ჩვენს ბედს ჩვენვე განვსაზღვრავთ, პირადად ვაგებთ პასუხს იმაზე, რასაც ვირჩევთ ცხოვრებაში – სწორედ ეს არჩევანი ხდება შემდგომ ჩვენი მომავლის საფუძველი.

მისი პიესები სიყმაწვილეში მომწონდა და თან მალიზინებდა... საზოგადოდ, ითვლება, რომ პიესე-

ბის კითხვა უფრო რთულია, ვიდრე პროზაული ნაწარმოებებისა. ვინც ამას ამტკიცებს, მას არც კითხვა უყვარს და არც თეატრი... ერთიც მიყვარდა და მეორეც. მას მერე არაერთხელ მიფიქრია, რა იყო ჩემი ასეთი „რთული“ დამოკიდებულების მიზეზი. ახლავ ვხვდები – ეტყობა, ჩეხოვის გმირებთან არაცნობიერად ვაიგივებდი თავს და მალიზინებდა მათი უმოქმედობა, უნიათობა, უუნარობა, რაიმე შეეცვალათ ცხოვრებაში... ჩემი სიყმაწვილე ე. წ. „უძრობის“ პერიოდს დაემთხვა, უკვე გაცნობიერებული მქონდა, რომ დიდ ტყუილში, დიდ „ჭაობში“ მივყავი ცხოვრება – და ვერაფერს ვცვლიდი, ჩეხოვის გმირებისა არ იყოს... ამიტომაც ვიყავი „შინაგან ემიგრაციაში“ და ამიტომაც იყო ჩემთვის ესოდენ ტკივნეული ჩეხოვის პიესების კითხვა...

კრებულში შეტანილი ნაწარმოებებიდან „ივანოვი“ ჩეხოვის პირველი პიესაა, რომელიც სცენაზე დაიდგა. მთავარი გმირი, ივანოვი განათლებული, უნივერსიტეტდამთავრებული აზნაურია, 35 წლისას ყველაფერი მიუიშვია. იწყებს მიზეზის ძიებას. ვერაფერს პოულობს, არადა, სინდისი ქნჯნის, ოღონდ რატომ, ვერ ხვდება. ცოლად ჰყავს ებრაელი ქალი, რომელმაც მისი სიყვარულის გამო მიატოვა მამა, გამოიცვალა რჯულიც და სახელიც. ივანოვი გრძობს, ცოლი აღარ უყვარს... არც ის ქალიშვილი უნდა, ვინც სიყვარულში გამოუტყდა... არავინ და არაფერი უნდა... „მე რუსი

ჭამლეტი ვარ“, – ამბობს და ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს.

„ალუბლის ბაღში“ მოქმედება ვითარდება გასაფხულზე, ღლებოვ რანეგესკაიას მამულში. საფრანგეთიდან ქალიშვილიან ერთად დაბრუნებულ რანეგესკაიას ვალების დასაფარად მამული, მშვენიერი ალუბლის ბაღითურთ, უნდა გაუყიდონ... ნაცნობი ვაჭარი სთავაზობს, ბაღი გაჩეხონ და ნაკვეთებად დანაწილებული მოაგარაკებს იჯარით მისცენ. რანეგესკაია უარზეა, მაგრამ არც ის იცის, რა გზას დაადგავს.

„თოლიაში“ მოქმედება ხდება სორინის მამულში, სადაც მისი დისშვილი, კონსტანტინ ტრეპლევიც ცხოვრობს. აქ სტუმრად არიან მსახიობი ირინა არკადინა და მისი საყვარელი, ბელეტრისტი ტრიგორინი... ტრეპლევი მათ აცნობს თავის პიესას, რომელშიც ერთადერთ როლს ნინა ზარენია, მდიდარი მემამულის ქალიშვილი თამაშობს. ტრეპლევის ნინა თავდავიწყებით უყვარს... მიუყრებელი პიესას არ მიიღებს... ორი დღის შემდეგ ტრეპლევი ნინას მოკლედ თოლიას მიუტანს და ეტყვის, რომ მალე ასევე მოიკლავს თავს. ნინა გაღიზიანდება. ახლა მისი კერძი ტრიგორინია... პიესის გმირებს დრამატისმით აღსავსე ურთიერთობა აქვთ, თოლია კი სიმბოლოა – ტრაგიკული სიმბოლო.

ახლა ჩეხოვის ბიოგრაფიაზეც ვთქვათ: ანტონ ჩეხოვი დაიბადა 1860 წელს, ტაგანროგში, ვაჭრის

ოჯახში. 1864 წელს ანტონი გიმნაზიაში შეიყვანეს. მალე მამამისი გაკოტრდა. ოჯახი ფარულად გადავიდა მოსკოვში. ანტონი მარტო დარჩა, სწავლობდა და თავს რეპეტიტორობით ირჩენდა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და პროვინციაში გაემგზავრა სამუშაოდ. სამედიცინო პრაქტიკასთან ერთად წერდა და ჟურნალებში აქვეყნებდა იუმორისტულ მოთხრობებსა და ფელეტონებს. 1888 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ვრცელი მოთხრობა „სტეპი“. 1890 წელს იმოგზაურა კუნძულ სახალინზე, გაეცნო კატორღელთა მძიმე ცხოვრებას. მოსახლეობის აღწერაც კი ჩაატარა. მიღებული შთაბეჭდილებები გადმოსცა ვიენაში „კუნძული სახალინში“, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ტუბერკულოზის გამაფრების გამო დასახლდა მოსკოვის მახლობლად, სოფელ მელიხოვოში. დაუახლოვდა გლეხებს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა მათი მღვთმარობის გაუმჯობესებას. აქ ჩეხოვმა 42 ნაწარმოები შექმნა.

ჩეხოვის შემოქმედებაში მთავარი ადგილი დრამატურგიას უჭირავს (პირველი პიესა, „უმამობა“, 18 წლისამ დაწერა). სხვათა შორის, მისი დრამატურგიის სახსლე დაყურებლმა თავიდან ვერ გაიყო. ტრაგედულად მოაზროვნე კრიტიკოსები საყვედურობდნენ, რომ მის პიესებში მოქმედება არ ვითარდება დრამატურგიის წესებისამებრ, რომ მისი დიალოგი წვეტილია, კომპოზიცია – დაქსაქსული, ფაბულა – სუსტი. დიდმა რეკისორებმა, სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ, დაინახეს ჩეხოვის პიესების დრამატურგიული მოქმედების არსებითი პრინციპი – ე.წ. „წყალქვეშა დინება“, რომ ყოფითი სცენების, დიალოგებისა და დეტალების მიღმა იმალება შინაგანი ღირიკულ-ინტიმური ნაკადი... ჩეხოვი სცენაზე დეტალურად წარმოსახავს რეალური ცხოვრების ატმოსფეროს, მის პიესებში წინ წამოწეულია ყოველდღიური, ყოფითი სიტუაციები, რომელთა სიღრმეში, ისევე, როგორც მარგალიტი ნიჟარაში, იმალება მთავარი: სულიერი ტკივილი, პერსონაჟების გრძობები, განცდები, ურთიერთობანი...

1901 წელს ჩეხოვმა ცოლად შეირთო მოსკოვის სამხატვრო თეატრის წამყვანი მსახიობი ოლგა კნიპერი, რომელიც 1898 წელს გაიცნო „თოლიას“ რეპეტიციებზე. მათ შორის დაიწყო მამოწერა, რომელიც ჩეხოვის სიკვდილამდე არ შეწყვეტილა.

სიცოცხლის ბოლო წლები ჩეხოვმა იალტაში გაატარა ტუბერკულოზის გართულების გამო. გარდაიცვალა 1904 წელს ბაღენვაილერში (გერმანია). ჩამოსვენეს და ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე დაკრძალეს.

O. ლომიური

სამეგრელოს ღირსეული შვილები

თავის მხრივ, ამას უჩამ დაამატა — რაც შეეხება გუშინდელ, ე.ი. ოცდასამი დეკემბრის სკატურელის მამაცურ და მოხერხებულ ბრძოლებს, ამის გამო პირველი ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარზე უნდა წარგადგინო! ეს თქვა და მამინვე მაგიდას მიუჯდა, აღწერა სკატურელთან ჩატარებული ბრძოლის სურათი და ჩემი წარდგინება გააკეთა.

ამ დროს უჩას ტელეფონზე იხსებენ. იგი იღებს სასმინე მისს. ელაპარაკება რუმინეთის შტაბი. ლაპარაკი ფრანგულ ენაზე, რომელიც მე არ მესმის, მაგრამ უჩამ რატომღაც ჩემი გვარი ასხენა. მალე კიდევაც დაამთავრა ლაპარაკი. გახარებული წამოვიდა ჩემსკენ და გადამხეცია, მომილოცა: ყოჩაღ, ჩემო გვანჯი, ასე საქვეყნოდ რომ გვასახელებ!.. რუმინეთის სამხედრო შტაბის მიერ, სკატურელთან გამოჩენილი სიმამაცის გამო, წარდგენილი ხარ რუმინეთის უმაღლეს სამხედრო საპატიო ჯილდოზე!

მე უღრმესი მადლობა გადავუხადე უჩას და ვუთხარი, რომ მის ნათქვამს არავის ვეტყვოდი. შობა დღე, 25 დეკემბერი ამ სოფელში დაფრინდა და დიდ ქეიფში გაგატარეთ. 26 დეკემბერს, ადრე დილით მოგვიახლოვდა გერმანელთა არტილერიის და ტყვიამფრქვევების ნაცნობი, გამაყრუებელი გუგუნი. მთელი პოლკი ფეხზე დადგა. გასცეს ბრძანება, ცხენები ზურგში გაგვეზავნა და როგორც ფეხოსანი ნაწილები, მოგერიებით ბრძოლაზე გადავსულიყავით. ასედაც მოვიქცით. 26 დეკემბერს, მთელი დღის განმავლობაში, მტრის ჭარბ ძალებთან, ვენოდით სასტიკ ბრძოლებს და ვაკავებდით იერიშზე გადმოსული გერმანელების წინსვლას. საღამოს უკვე მოგვივიდა მამული ძალები და ჩვენმა შტაბმა მიიღო ბრძანება, რომ ჩვენს დივიზიას ეძლეოდა ორი თვის დასვენება. ამ ორი თვის მანძილზე უნდა შეგვევსო დანაკლისი — ათას ხუთასი კაცი და ამდენივე ცხენი, რუმინეთში ჩატარებული მძიმე ბრძოლების დროს რომ დაეკარგეთ.

უჩა დადიანს პოლკის უფროსმა რუსული ენის მცოდნე მხედარი მოსთხოვა. უჩამ მე გამაგზავნა. გამოვცხადე პრინცი ვაზი კაჯარაკისთან, რომელმაც კარგად მიმიღო და მითხრა — ნაიყვანე ხუთი მხედარი, წახვალთ ქალაქ ხუშევეში, გამოცხადდები იქაურ კომენდანტთან და ჩვენი პოლკისთვის იქ ბინას მოამზადებო.

მე დაუყოვნებლივ ავარჩიე ხუთი მხედარი და წამოვედი, დავადექით გრძელ გზას. გამოვიარეთ ორასი კილომეტრი. გავცდით ქალაქ ბირლატს. რუმინელი მოსახლეობა გზადაგზა ცნობისმოყვარეობით გვადევნებდა თვალს. ბოლოს ჩამოვედით ქალაქ ხუშევეში, ბესარაბიის საზღვარზე და გამოვცხადე ქალაქის კომენდანტ კაპიტან ბერსთან, რომელმაც ძალზე გულთბილად მიმიღო. იგი დედით ქართველი აღმოჩნდა. დედაჩემი ერისთავის ქალიაო, კმაყოფილებით მიმხრა. მაშინვე მომცა ბინა ჩვენთვის და ცხენებისთვისაც. ამხანაგებთან ერთად რესტორანში წავედი. რესტორანში ბლომად იყო ხალხი — რუმინელები და ბესარაბიელები. ყველანი ჩვენ შემოგვცქეროდნენ, როგორც უცხოებს, ცნობისმოყვარედ გვაკვირდებოდნენ. სუფრა ქართულ ყაიდაზე გავანყვეთ. რუმინელებსა და ბესარაბიელებს მაინცდამაინც არ უყვართ ღვინით დათრობა, ისინი ცოტ-ცოტას სვამენ. ჩვენ გავაჩაღეთ ჩვენებური ქეიფი და სადღეგრძელოები. მე ვიღებ სასმისს და რუმინეთის მეფის სადღეგრძელოს წარმოვთქვამ. რუმინელებმა ოვაციები გამართეს. მე მათ დიდ სასმისებს ვანვდი, ღვინით ვუვსებ. ისინი უარზე არიან, მაგრამ ჩემი დაბეჯითებით თხოვნის შემდეგ საითთაოდ ცლიან სასმისებს, მაგრამ სახე მანჭებთ. ამის მერე, რუმინეთის ჯარების მთავარსარდალის, გენერალ ავერესკუს სადღეგრძელოს ვამბობ. ამასაც ძალდატანებით ვასმევ ახალგაწილები რუმინელებს. ასეთ სმას მიუჩვეველ რუმინელებს ღვინო მოერიათ, გამხიარულდნენ. ახლა უკვე ერთმა რუმინელმა თვითონ აიღო სასმისი და თავისებურად შემოგვთავაზა სადღეგრძელო, დაიძახა: ვივატ რასია! (გაუმარჯოს რუსეთს!) ვივატ ბრუსილოვ! (გაუმარჯოს ბრუსილოვს!) — გენერალი ბრუსილოვი იყო რუმინეთის ფრონტის ჯარების მთავარსარდალი, რომელმაც 1916 წელს დიდი გარღვევა მოახდინა და გერმანია-ავსტრიის ჯარებს სასტიკი დამარცხება აეგმა. გულთბილად დავამთავრეთ ეს პატარა და ლამაზი ქეიფი. რუმინელებმა და ბესარაბიელებმა შეძახი-

ლებით, ტაშითა და ქუდების სროლით გამოვავიცილეს რესტორნიდან. ერთხანს ბინაში დავრჩით, მოვისვენეთ. საღამოს კომენდანტ ბერსთან მივედი. კაპიტანმა მომცა საგზური და მითხრა — თქვენი პოლკის განსალაგებლად გამოყოფილია სოფელი სკინო, იქ დაისვენებთო.

შეთანხმების მიხედვით, მე ჩვენი პოლკის ჩამოსვლას დაველოდე. მეორე დილით კიდევაც ჩამოვიდა ჩვენი პოლკი. გამოვეცხადე პოლკის უფროსს და მოვასხენე, რომ ჩვენთვის სოფელ სკინოში მზად იყო ბინები. იმავე დღეს დავიძარით ამ სოფლისკენ, საღამოს ჩავედით და დავბინავდით. დილით ბრძანება გასცეს, რომ ჩვენი ანუ ჩეჩენთა პოლკი მწყობრში ჩამდგარიყო. ბრძანება შესრულდა. ცოტა ხნის შემდეგ, გამოდის პოლკის მეთაური პრინცი კაჯარაკი და მისალმების მერე უჩა დადიანს ულოცავს მთელი ასეულის დაჯილდოებას. წამხედრო სასულიერ კეისარის გრიადში ნაკითხულ იქნა ყველა მებრძოლის გვარი და ჯილდო. ნაკითხულ იქნა, აგრეთვე, მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გვარები; შტაბს დაევალა, მათი ჯვრები და მედლები ჭირისუფლებისთვის გადაეზავნათ.

ჩვენ კარგად ვისვენებდით, მაგრამ, ამავე დროს, გაფაციცებით ველოდებოდით მნიშვნელოვან ამბებს პეტერბურგიდან. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ცნობები ფრონტზე მეფის ჯარების ახალ-ახალი და-

ცერი და მხედარი მაგამედ გაზიევი. მალე ჩვენი პოლკი დაშლილი იქნა და დაბრუნეს კავკასიაში. მე, როგორც ზემოთ ავღნიშნე, წარდგენილი ვიყავი ოფიცრის წოდებაზე და წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ჯვარზე, მაგრამ ამას აღარ დაუვცადე, აღარც მაინტერესებდა, რადგან მომხდარი რევოლუციის გამო აღფრთოვანებული ვიყავი და ჩემი სამშობლოსკენ მივისწრაფოდი. ამ ამბებიდან მეცხრე დღეს ავიღე ერთთვიანი შვებულება და დავბრუნდი საქართველოში.

რევოლუციის შემდგომი პერიოდი

ცარიზმის დამხობას, რუსეთის მშრომელებთან ერთად, ქართველი ხალხიც აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. საქართველოში ძალა-უფლება დროებით მენშევიკებმა იგდეს ხელთ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩავედი მშობლიურ სოფელ ჭკადუაში და ისევ სოფლის მეურნეობას მოვკიდე ხელი, პატიოსან გლეხურ შრომას შევუდექი. ჩემი აღმზრდელები, კეთილი მეგობრები და მეზობლები კვლავ ერთგულად ამომიდგნენ მხარში და მეც ყოველნაირად ვეხმარებოდი მათ. პირადად მე ღრმად მწამდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს მენშევიკური მთავრობა, როგორც უუნარონი, უდღეურები, დიდხანს ვერ იარსებებდ-

ცხოვრება ბჰანჯი ჩიქოვანისა

მარცხებებისა და ქვეყნის დიდ ცენტრებში, განსაკუთრებით კი პეტერბურგში არსებული დაძაბულობის შესახებ. ასე აფორიაქებულეებმა გაგატარეთ ახალი წელი. ამგვარ უჩვეულო ყოფაში გადაიდა კვირები და ერთხელაც, 26 თებერვალს პოლკი დიდი ფაცი-ფუცი და ჩემი ლაპარაკი ატყდა. რამდენიმე საათში გაიცა ბრძანება და მთელი პოლკი მწყობრში ჩაგვყენეს. გამოდის მეთაური და ყველას გვილოცავს თავისუფლებას, მოკლედ აცხადებს, რომ მეფე ტახტიდან გადადგა. იქვე გვალეზინებენ ფიცს დროებითი მთავრობის წინაშე. ყველანი დაინტერესებული ვართ დანერჩილებით გავივით, თუ რა მოხდა. იქ გაზეთი არ იყო. მე და ვალოდია ბერიძეს დაგვაავალეს, გვეშოვა გაზეთი. ჩვენ დაუყოვნებლივ წავედით ქალაქ ბუნდერაში (რუსეთში) და ერთი ებრავლის მეშვეობით, 30 მანეთად ვიყიდეთ გაზეთი, პეტერბურგიდან გამოგზავნილ დეპეშაში კი 25 მანეთი გადავიხადეთ. გაზეთი და დეპეშა საჩქაროდ ჩამოვიტანეთ სკინოში. რევოლუციურად განწყობილი ოფიცრობა და მხედრები ერთმანეთს წაკითხვას არ აცლიდნენ, ხელიდან გლეჯდნენ ამ ფურცლებს. გაზეთში ვრცლად იყო აღწერილი ნიკოლოზ მეფის გადადგომისა და დროებითი მთავრობის არჩევის ამბები.

სანამ სკინოდან წამოვიდოდით, იქ კავკავიდან სტუმრად ჩამოვიდა პოლკოვნიკ კელიერის ცოლი რაისა გიორგის ასული ტურგანოვა. მის საპატივცემულოდ პოლკმა გამართა ბანკეტი. ამ ბანკეტზე მრავალი საინტერესო და საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა. ყველა თავისებურად აფასებდა მომხდარს. კარგად მახსოვს მონარქისტი ოფიცრების კვენა. იქადდნენ, რევოლუციას მალე ჩავახშობთ და მეფე აღდგენილი იქნებაო. მათი მხამალალი განცხადებები უფრო ლაყობობას ვაგდა.

მეორე დღეს, უჩა დადიანმა გვერდზე გამიხმო — ხომ გესმოდა, ჩემო გვანჯი, რა სისულელეებს ყებდობდნენ ის ოფიცრები?! გახსოვდეს, ჩემო გვანჯი, — განაგრძო უჩამ, — რუსეთის რევოლუცია არის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა და მისი დასრულება აწი არავითარ ძალას არ შეუძლიაო. გონიერი კაცი ახლავე გაყვება ამ რევოლუციას და ის დაღუპვისგან თავს გადაიარჩენსო.

კერენსკიმ რუსეთის ყოველი დივიზიიდან თითო ოფიცრი და თითო მხედარი მოითხოვა. ჩვენმა პოლკმა ვაგზავნა ერთი რევოლუციურად განწყობილი ჩეჩენი ოფი-

ნენ. მე მენშევიკების ხელისუფლების დროს არ შევსულვარ მთავრობის სამსახურში და, როგორც ავღნიშნე, ძირითადად, სოფლის მეურნეობას ვენედი, ვეხმარებოდი გლეხობას გზებისა და ხიდების მშენებლობაში, რასაც ხალხი თავისი მონდომებით აკეთებდა.

ამ პერიოდის განმავლობაში ჩემი სოფლიდან არსად წავსულვარ, რადგან ჩემი მშობლებიცა და მეც დიდად ვიყავით დამნუხრებული და გულმოკლულნი. ოთხი ვაჟიდან ოჯახში ცოცხალი მარტო მე დავრჩი. ჩემი ძმები — ლევანი, ვლადიმერი და კონსტანტინე შავრაზმელთა ხელით დაიღუპნენ. მამაჩემი შედარებით მხნობდა და ჩემზე ამყარებდა იმედს. ხშირად ეუბნებოდა ხოლმე დედაჩემს — ნუ სტირისხარ ამდენს, გულს ნუ იკლავ, რახან ასე წავიდა ჩვენი საქმე და განებამ მხოლოდ გვანჯი შეგვარჩინა, ჩვენ ამითაც ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ თავი და ვეცადოთ, გვანჯის შევუწყოთ ხელი, რომ ამან მაინც გაიხაროს და ოჯახი არ დაიღუპოსო. მე ყოველნაირად ვცდილობდი, გული გამემგარებინა მოხუცი, ბედისგან დაჩაგრული მშობლებისათვის. თავისუფალ დროს დავდიოდი ნათესავ-მეგობრებში და ჩემს აღმზრდელთა ოჯახებში. ხშირად ვნახულობდი ჩემს ახლო ნათესავს, ცნობილ ბოლშევიკ-რევოლუციონერს საშა გეგუჭკორს. საშა თავგამოდებული იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. საშა ხშირად მეტყდა — ჩემო გვანჯი, შენა და შენი ოჯახი ნამეტანი დაიტანჯეთ, ამიტომ შენთვის იყავი, ოჯახურ საქმეებს მიხედე და მოხუცი მშობლები გაამხნევეო.

მენშევიკ ხელისუფალთა მიმართ ხალხის უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ზუგდიდის მაშინდელმა ქალაქის თავმა ესტატე ლატარია ამ სხეებმა, უკმაყოფილოთა დასაშოშმინებლად და წესრიგის დასამყარებლად ზუგდიდში ორასი კაცისაგან შემდგარი ყაზახთა რაზმი ჩამოიყვანეს. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ხალხში შფოთი და უკმაყოფილება. ერთხელ ქალაქის მესვეურებმა დადიანის სასახლეში გამართეს დიდი ქეიფი, რომელსაც ესწრებოდა ეს ორასი კაცი თავისი ხელმძღვანელებიანად. ერთ-ერთი მთავარი ყაზახი სუფრიდან ამდგარიყო, გამოსულიყო გარეთ და მედუქნეს მიდგომოდა. ლანძღვითა და გინებით, უფასოდ, ღვინო და არაყი მოეთხოვა. დუქნის პატრონმა, ჯანაშიამ, ვერ მოთმინა ეს შეურაცხყოფა და გათავხებულ იყაზახი მაგრად სცემდა. გასისხლიანებული ყაზახი

დადიანის სასახლისკენ გაიქცა, ქუჩაში გარბოდა და თან იმუქრებოდა, ახლავე გამოვიყვანთ ჩვენს რაზმს და მთელ ქალაქს დავარბევთო. ეს ამკარად მოსალოდნელი იყო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნათამამებული ორასი მთვრალი ყაზახი მართლაც უბედურებას დაატრიალებდა.

სწორედ ამ დროს მე, გრიშა ჯიქია და სხვა ამხანაგები ზუგდიდში ვიყავით ჩასული. მე მაშინვე ვიგრძენი, რომ კარგი ამბავი არ იყო მოსალოდნელი. იმწუთშივე ავტყებთ ყვირილი, რათა მილიციას დაეკავებინა მთვრალი ყაზახი და სასახლემდე არ მიეშვათ. ჩემი ძახილი კარგად ესმოდა ესტატე ლატარიას, მაგრამ არ ინება თავის შენუსება, არ გააფრთხილა მილიცია, რომ დაეკავებინა სისხლში მოთხვრილი ყაზახი, რომელიც მივარდა ოფიცერთან. მთვრალ ოფიცრს მაშინვე გაუცია ბრძანება და ეს ორასი კაცი ქალაქის ასანოკებლად წამოუყვანია. ხალხი ერთბაშად მოიცვა პანიკამ — დაკეტეს დუქნები და მალაზიები, დიდ-პატარა ქუჩებში გამოეფინა. რამდენიმე წუთში საშინელი სისხლისღვრა უნდა მომხდარიყო. მე საჩქაროდ გავეშორდი ამხანაგებს და მივედი ქალაქის თავთან ესტატე ლატარიასთან და სხვა თანამდებობის პირებთან, ავლევებულმა განვუცხადე მათ — მოსალოდნელი უბედურების პასუხისმგებელი თქვენ იქნებით და ვალდებული ხართ, უდანაშაულო ხალხი ამ საშინელ განსაცდელს ააშოროთ-მეთქი. მათ არავითარი ყურადღება არ მომაქციეს, სადღაც წავიდნენ და მიიმალნენ. გაბრაზებულმა სასტიკად მივალანძლე ისინი და სასწრაფოდ გამოვბრუნდი. ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო. გამძვინვარებული და გათავხებებული რაზმი უკვე მოადგა ქალაქს. მე გავეცხენე ცხენით და შევიჭერი ყაზახთა რაზმში, წინ დავედექი ოფიცრს. ოფიცრმა ჩემს მკერდზე წმინდა გიორგის ჯვრები რომ დაინახა, შეჩერდა და უხეშობა ველარ გაბედა. საღამზე საღმით მიპასუხა. შემდეგ ვუთხარი, რომ აქ მოხდა გაუგებრობა და საჭიროა სიღინჯე და გონიერული მოქმედება. ოფიცერი ყურადღებით მისმინდა. მე განვაგრძე და აუხსენი — მართალია, ვილაცამ ჩაიღინა უნესობა და შეურაცხყოფა მიაყენა თქვენი რაზმის წევრს, მაგრამ მთელი ქალაქის მოსახლეობა არაფერ შუაშია. საჭიროა მოინახოს დამნაშავე და დაისჯოს ის და არა უდანაშაულო ხალხი. ახლა აჯობებს, უკან გააბრუნოთ თქვენი რაზმი, მე მომცეთ გამყოფად ხუთი კაცი, რათა დავაპატიმრო დამნაშავე და პასუხისმგებელი გადავცე-მეთქი. ოფიცრს მოეწონა ჩემი რჩევა და წინადადება, უკან გააბრუნა თავისი რაზმი. როგორც ეტყობოდა, მასზე გავლენა იქონია ჩემმა გაბედულმა და დასაბუთებულმა მოთხოვნამ და, მეორეს მხრივ, იგი უთუოდ შეაშინა ქუჩებში გამოსულმა ანობოქრებულმა ხალხმა. ხუთის ნაცვლად, მან თორმეტი კაცი გამომაყოლა უნტერ-ოფიცრის ხელმძღვანელობით. მე გამოვბრუნდი და შევედექი გადამალული ჯანაშიას ძებნას. ახლა ჩემი საფიქრებელი ის იყო, როგორმე გადამერჩინა ჯანაშია. ის რომ მართლა დამეჭირა და გამხეცებული ყაზახებისთვის გადამეცა, მათრახის ცემით სულს ამოხდიდნენ. ამიტომ ეშმაკობა ვიხმარე და მოვახერხე, ჯანაშიას ძებნაში ყაზახები აღმა-დაღმა მეტარებინა, თვითონ ჯანაშიას კი ჩუმად, მათგან დაფარულად ვაცნობე, სასწრაფოდ მილიციას ჩაბარებოდა და ციხეში ჩამჯდარიყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



აია-სოფია – პირველი

დასაწყისი, "ილორი" №№241-243

იმ დროისათვის, დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ქურუმ-მოგვათავის იყო სულიერების აკვანი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისინი თავის მასწავლებლად პირველ მოგვად თვლიდნენ ლაზთა ღვთაებას ეა-ენქი-აიას. იგი ითვლებოდა ყველაზე დიდ სასწაულმოქმედად. მას შემერები მიაწოდნენ ყველა სასარგებლო ხელობა-ხელოვნების გამოგონებას და განსაკუთრებით მაგიისა (ანუ იმდროინდელი სულიერების) შემდეგ მას თავიანთ სცემდნენ, როგორც ღმერთს – კაცობრიობის მფარველს, იგი აგრეთვე ითვლებოდა ბიბლიური პროტოტიპების ადაპა (ადამი), ნინტი (ევას) და ზიუსედრა (ნოეს) შემქმნელად და მრავალი სხვა. იგი წარმოედგინათ წელს ზემოთ კაცად, წელს ქვემოთ თევზად, ანუ აიას – სახელდება სემიტურად – ეა-ხაია, შემერულად ენქი, ენუქი.

არსებობს ენგურ ქარღვი ანუ ლაზთა ღვთაების დალოცვა: „შენ ხარ ვენახი, მამო ენქი – მამო აია“.

არსებობს თიხის ფირფიტები, სადაც ეა-ენქი მოხსენიებულია პირდაპირ, როგორც აია, აგრეთვე პირდაპირ მოხსენიებულია მისი სამშობლო „აბზუ“, ხოლო მის სახლად მოხსენიებულია „ენგურწყალი“.

სხვადასხვა თიხის ფირფიტებში პირდაპირ აღინიშნება აბზუს (კავკასიის) მკვიდრები ლაზები და იმერელები, რომელ ლოცვა-გამოლოცვაშიც ნახსენებია ლაზები, იქვე ყოველთვის აღნიშნულია იმერია, როგორც ქვეყნები, ახლო მდგომი ღმერთებთან, და იქვე ყოველთვის ნახსენებია ორი ქალაქი – ხაშური და ხახა (სავარაუდოდ, დღევანდელი – ხარაგაული თავისი ნუნიით).

რაც შეეხება ენგურს, იგი ასოცირდებოდა მთელ მესოპოტამიაში აიასთან და მის პატივსაცემად მის პირველ ტაძარს ქერიდუში წარდგინდნენ და წარდგინის შემდეგ ერქვა-ენგურ... აგრეთვე ძველ მესოპოტამიაში აია-ეა-ენქი ასოცირდებოდა წყალთან მის საპატივცემოდ სანამ არსებობდა ზიკურატები, ამ ტაძრებში ე.წ. „ნაკურთხი“ წყლის ავზებს ერქვათ – ენგურები, აგრეთვე ურის სახელმწიფოს ქალდეელები უწოდებდნენ – ურ-ენგურს და სხვ.

ერიდუსა და სხვა ქალაქებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს იმას, რომ მესოპოტამიის მოსახლეობა ღვთაება ეა-ენქი-აიას სწირავდნენ არა მარტო დღევანდელსა და ხორცს, რაც ბუნებრივი იქნებოდა მიწათმოქმედათვის და მეცხოველეათვის, არამედ თევზს!

ის ფაქტი, რომ ეა-ენქი-აია, სიბრძნისა და უკიდურებობის ღვთაებაა და ამავე დროს შემერებადელი ღვთაებაცაა, რომელიც კაცობრიობის გვარის შემქმნელია, ჩვენს წინაშე გარდაუვლად აყენებს ებრაულ-იუდეურ (ისრაელის) აბრაამისა

წარღვნიადელი ცივილიზაცია დედამიწაზე ანუ

და მოსეს ღმერთის, შემერებადელი ფესვების არსებობის საკითხს. სწორედ ეს ღმერთი ითვლება ტრადიციულად დაბადების ავტორად (აია – ენქი – ელოქიმი – ადონაი – იოდი – სოფია – სავოაფი) აგრეთვე რადგან ის ითვლებოდა ადაპას (ბიბლიური ადამის), ნინტის (ევას) და ზიუსედრას (ბიბლიური ნოეს) შემქმნელად, ფაქტობრივად გამოდის, რომ ის წარდგინადელი ცივილიზაციის ღვთაებაა – აია – ეა – ენქი და მისი სახელი ენგური – ესე იგი ეს ის ადგილია, სადაც ჩაისახა დღევანდელი ცივილიზაცია, ხოლო ლაზ-მარგლები არის ეთნოსი, რომელსაც არ შეუცვლია საკუთარი ისტორიული ადგილი-საცხოვრისი. სამეგრელო, ეს არის ადგილი, სადაც არასდროს, არც ერთი დამყრობელი არ დარჩენილა დიდხანს. ეს ძირითადად დაკავშირებული იყო ცულ კლიმატურ პირობებთან, კონკრეტულად კი – იქ გამეფებულ ცივ-ცხელეობასთან (მაღარიასთან), რაც მომხდართათვის სიცოცხლეს შეუძლებელს ხდიდა. თუმცა მცოვან მეგრელებს სხვა ვერსია ჰქონდათ ამისა: „ჩვენ ენა და მიწა ღმერთ აიასგან გვაქვს ბოძებული. ღმერთი აია ყველა ღვთაების ღმერთი იყო დედამიწაზე კაცობრიობის მამამთავარი (აია-ენქის შესახებ შემერები იგივეს გვეუბნებიან), ის ჩვენ გვიცავს და გვმფარველობს“.

ესე იგი, როგორც შემერნი ამბობენ, მდ. ენგურის ირგვლივ მაცხოვრებელი ხალხი არის ის ხალხი, რომელმაც ნახა წარდგინა, გადარჩა და ამის შესახებ აუწყა კაცობრიობას. ესე იგი ის ხალხი, რომელთა მოაზროვნებამ და წმინდა მამებმა მდ. აღმოსავლეთით დონეზე შეიმუშავეს კოსმოლოგია და თეოლოგია, არის მდ. ენგურის ირგვლივ მცხოვრებნი ლაზ-მარგლები პირდაპირი წინაპრები (სხვა უბრალოდ არც ვიცით და არც არსებობს).

ძველებერძენი ისტორიკოსებიც პეროლოტე და აპოლონიის როდოსელი, ხომ ერთდროულად უწოდებდნენ კოლხიდას აიას. ძველებერძულ ლიტერატურაში აია ფიგურირებს, როგორც მთელი ქვეყნის დასახელება, ანუ კოლხიდას სინონიმი. აიას სინონიმი ლაზ-მარგლებთან ანუ სამეგრელოში ყოველ ფესვის ნაბიჯზე გვხვდება. ცნობილია, რომ აია-ღმერთების ღმერთია – აიას მიწები (კოლხიდა). მეგრულ სოფლებში აღნიშნავდნენ ღვთაება აიას სახელზე ღვესასწავლს – „აიანოშა“ და არსებობდა ეკლესია „აიანოშა“ – „საიანოშა“, რაც მეგრულად აღნიშნავს ადგილს, სადაც ღვთაება აია დაიბადა, ამასვე გვეუბნებიან შემერთა თიხის ფირფიტები, რომ ღვთაება აია-ეა-ენქის სახლია ენგურ-წყალი.

დღეს მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ წარდგინად დღევანდელი შავი ზღვა იყო მტკნარი წყლის ტბა, ანუ გაცილებით პატარა. ე.ი. ამ ტბის ირგვლივ ცხოვრობდ-

ნენ ლაზთა წინაპრები (რადგან წარდგინად ამ ტერიტორიაზე ვეროპის ჩათვლით ღვთაება აიას მრველის ანუ ლაზების გარდა სხვა ხალხი აქ არ მოიაზრება), რომლებსაც შემერთა თქმით ჰქონდათ აყვავებული ცივილიზაცია, რომ მათ მიღწევებს გაცნობილებმა შექმნეს შემერთა ცივილიზაცია. ე.ი. იმ ბუნებრივმა სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც მოხდა ხმელთაშუა ზღვაში საერთოდ იმსხვერპლა ტბა, რომლის ადგილას წარმოიშვა შავი ზღვა და ამან თავისთავად იმსხვერპლა ლაზთა ცივილიზაცია, ხოლო გადარჩენილებმა, ამის შესახებ გადარჩენის მომავალ თაობებს აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ პელაზგთა და ეტრუსკთა წინაპრები როგორც დღეს ირკვევა, არიან ლაზნი.

ფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლისი ხომ ამტკიცებს: „ეტრუსკები და პელაზგები არიან მოსულნი კოლხეთიდან; ისინი არიან მედიტერანული კულტურის მატარებლები მსოფლიოში“ (პელაზგები – ლაზების მსგავსნი; ხოლო ლაზები – ძირს (ქვემოთ) ჩამოსულნი შესაქმნელად).

ამიტომაც ვეროპაში ეტრუსკებისა და პელაზგების დროინდელი ბერძნები და რომაელები ძალიან ადრეულ საფეხურზე დაუფლდნენ წინასწარმეტყველების მრავალ ფორმას. ეტრუსკულ-პელაზგურ და ქალდეურ ნაწარმოებებს შორის იმდენად დიდი მსგავსებაა, რომ ეჭვს არ იწვევს ამ ხალხების ერთმანეთისადმი ახლო ნათესაური კავშირი. სხვა მხრივ კი, ეტრუსკულ და ქალდეურ წინასწარმეტყველების საშუალებებს შორის იმდენად სრული მსგავსება შეიმჩნევა, რომ ამის ახსნა უბრალო შემთხვევითობით რთული იქნებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აია-ეა-ენქის სამშობლო არის „აბზუ“ (კავკასია), ხოლო სახლი არის „ენგურ წყალი“ (სხვა შემერთა თქმით, ის „ენქი წვეს გაწვლილი ჭაობებში“ (აქ თავისთავად კოლხეთის ჭაობებზეა ლაპარაკი), მსოფლიოში არსებობს ერთი მცდარი სტერეოტიპი, რომ აბზუ მოიაზრება აფრიკის კონტინენტზე იმიტომ, რომ იქ აფრიკაში არის მტკნარი წყალი და ოქროს საბადოები, შემერებადელი ცივილიზაციისთვის ეგვიპტე და აფრიკა საერთოდ არ იყო ცნობილი, თვით ეგვიპტელები ხომ მხოლოდ სპილოს ძვალს აბზუს უწოდებდნენ და არა რომელიმე აფრიკულ რეგიონს ან მთას. ასევე აფრიკაში მდინარე ენგურ არ არსებობს და არც არსებობდა, მითუმეტეს ეგვიპტურმა ცივილიზაციამ საერთოდ არაფერი იცის წარდგინის შესახებ, და მეტიც, დღეისათვის არსებული მტკიცებულებების უმეტესი ნაწილი საუბრობს უმეტეს, დინასტიამდელ დროში, ნილოსის ხეობაში უცხოელ მეზღვაურთა წავთვის გამძინავს, ისინი მხოლოდ წარდგინის შემდგომ პერიოდის ქერიდუსთან მოიაზრებდნენ თავის თავს. შემდგომში მათგან გამოვიდნენ ფარაონები

ღმევანდელი მარბლები!

და დაიწყო ეგვიპტეში ე.წ. დინასტიური პერიოდი.

აბზუ (აბზუ-სემიტურ ენაზე) – მტკნარი წყლის უშველებელი ოკეანე, რომელიც შემერთა წარმოდგენით მიწის ქვეშ მდებარეობს (ქართული გეოლოგები დამერწმუნებიან, რომ აქ პირდაპირ საქართველოზეა ნათქვამი).

აგრეთვე შემერულ მითოლოგიაში აბზუ ითვლებოდა ფარულ, საიდუმლო ადგილად, სადაც ვერ მოხვდებოდნენ სხვა ღმერთები და სადაც ფარულად იმყოფებოდნენ, ასევე ძველამოსილი ძალები, სახელწოდებით – მე. მითებში მოცემულია მე-ს ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც წარმოვიდგება უფლები ცივილიზაციის თავისებური კატალოგი ადამიანის შესახებ; ისინი განასახიერებენ ქურუმთა და ხელმწიფეთა ფუნქციებს, ძალაუფლების ნიშნებს, მორალურ განსაზღვრებებს და მათ ანტიპოდებს, და ა.შ. სიტყვა „მე“-ს – შემერული ეტიმოლოგია დღემდე გაუგებარია, თუმცა ის გასაგებია ქართული ენის მცოდნე ადამიანისათვის.

რა აფრიკელ ოქროს საბადოებზეა ლაპარაკი, როდესაც კავკასიაში ანუ აბზუში ოქროს უსხოვარი დროიდან მოიპოვებდნენ, აფრიკაში ოქრო თვითნაბადი სახით არ მოიპოვება, კოლხეთში კი ის თვითნაბადი სახითაა, რამაც შემდგომში მიგვიყვანა მოპოვების ე.წ. „ოქროს საწმისეულ“ ტექნოლოგიასთან.

დიდი და მცირე კავკასიონის ქედები, მათ შორის კი უმათავრესი – იალბუზი, შეიცავენ თავის სიღრმეებში ოქროს, რომელიც ათახი წლების განმავლობაში ირეკებოდა, და ახლაც აგრძელებს ჩამორეცხვას და გამოიტანება და კვლავაც ვრცელდება მდინარეებში: თერგი, ენგური, რიონი (ფახისი), მტკვარი (კირი), ორი და ალაზანი.

ასე რომ, აბზუ არის კავკასია. იმ დროისათვის, დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ქურუმ-მოგვათავის იყო სულიერების აკვანი, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისინი თავის მასწავლებლად პირველ მოგვად თვლიდნენ ლაზთა ღვთაებას ეა-ენქი-აიას. იგი ითვლებოდა ყველაზე დიდ სასწაულმოქმედად. მას შემერები მიაწოდნენ ყველა სასარგებლო ხელობა-ხელოვნების გამოგონებას და განსაკუთრებით მაგიისა (ანუ იმდროინდელი სულიერებისა) შემდეგ მას თავიანთ სცემდნენ, როგორც ღმერთს – კაცობრიობის მფარველს, იგი აგრეთვე ითვლებოდა ბიბლიური პროტოტიპების ადაპა (ადამი), ნინტი (ევას) და ზიუსედრა (ნოეს) შემქმნელად და მრავალი სხვა. იგი წარმოედგინათ წელს ზემოთ კაცად, წელს ქვემოთ თევზად, ანუ აიას – სახელდება სემიტურად – ეა-ხაია, შემერულად ენქი, ენუქი.

იოსებ ძაცარავა (გაგრძელება იქნება)

ღმანისში მცხოვრები უპველესი ადამიანები კბილის საწმენდით სარბებულობდნენ?!

(ღმანისის კიდევ ერთი სენსაციური არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ)

საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი ღმანისელი შორეული წინაპრების ზეზვას და მზიას „კომპანია“ კიდევ რამდენიმე საინტერესო არტეფაქტით შეივსო – აღმოჩენილია დაახლოებით 2 მილიონი წლის წინანდელი ჩვენი წინაპრის თავის ქალა, რამაც, შეიძლება ითქვას, გადარტიალება მოახდინა ადამიანის წარმოშობის ევოლუციურ თეორიაში. თანაც, ჩვენი შორეული წინაპრები იმდენად „გაგვიშინაურდნენ“, რომ თანდათან წარმოვიდგინენ თავიანთი პირველყოფილი ცხოვრების წესს. მაგალითად, იმას, რომ ღმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით რეგულარულად სარგებლობდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული გამოცემა PNAS („მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“) ავრცელებს, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის ვრცელ სტატიას აქვეყნებს ღმანისის სენსაციური აღმოჩენის თაობაზე.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ჯერ კიდევ 20 წლის წინ საქართველოში, ღმანისთან ახლოს პალეონოლოგების მიერ

ნაპოვნი ადრეული ადამიანის ნიმუშებზე რადიოლოგიური კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ კბილებსა და ების ძვლებზე მათ უმრავი პარალელური და დრმა ნაკაწრი ჰქონდათ, რომელიც სავარაუდოდ კბილის საწმენდის არასწორად გამოყენებას უკავშირდება.

ყოველივე ეს აღმოჩენის ავტორებს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ღმანისის უძველესი მაცხოვრებლები კბილის საწმენდებს ამხადებდნენ და იყენებდნენ.

აი, რას სწერენ ამ ფაქტის თაობაზე უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები:

The Guardian: „სენსაციურმა აღმოჩენამ საქართველოს პატარა ქალაქ ღმანისში ადამიანის ევოლუციის ისტორია თავდაყირა დააყენა: საბრალო სპეციალისტები, რომლებიც ამდენი წელია, ამტკიცებდნენ, რომ ადამიანთა ადრეული განვითარების ეტაპებზე მათი სხვადასხვა სახეობა არსებობდა, ჩაფიქრებულნი იქნა იმის თაობაზე, რომ ფიქრობენ იმ საგანგაშოდ მოახლოებულ დღეზე, როდესაც მათი ასეთი რუდუნებით შეკოწმებული თეორიები სასწავლო წიგნებიდან უკვლავ გაქრება. თითქმის 2 მილიონი წელი უნაკლოდ შემინახულმა თავის ქალამ დარგის წამყვანი მეცნიერები

ერთხმად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადრეული ევოლუციის პერიოდის ადამიანის განტოტვილი გენეალოგიური ოჯახი სხვა არაფერია, თუ არა ჰომო ერექტუსის სხვადასხვა „ვარიანტი“.

DailyMail: აღმოჩენილია თავის ქალა, რომელმაც კაცობრიობის ისტორია „გადაწერა“. „...ღმანისში აღმოჩენილი თავის ქალა ადგილობრივი არქეოლოგების ერთადერთი გათხრებისას აღმოჩინეს „თავის ქალების მთელი ოჯახი“, რომელთა პატრონებიც, სავარაუდოდ, ერთსა და იმავე პერიოდში ცხოვრობდნენ და შეიძლება ერთმანეთსაც კი იცნობდნენ. სწორედ მათ შორის დიდმა განსხვავებამ მიიყვანა მეცნიერები დასკვნამდე, რომ ადრე ნაპოვნი თავის ქალები არა ჰომოს სხვადასხვა სახეობას, არამედ ჰომო ერექტუსს ეკუთვნოდა, თუმცა, „სხვაანაირად გამოიყურებოდა“. სხვათა შორის, ხუთეულიდან, რომელიც ერთი მოხუცი მამაკაცის, ორი ზრდასრული მამაკაცის, ქალისა და უცნობი სქესის ბავშვისგან შედგება, პროპორციულად ყველაზე პატარა ტენი სწორედ ყველაზე მოზრდილ და კარგად შენახულ მამრს ჰქონდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ანგარიში 1:1-ია ფემინისტების სასარგებლოდ“.

The Telegraph: „ღმანისელმა თავის ქალამ“ ევოლუციის ისტორიას ნათელი მოჰფინა“. „როგორც ჩანს, კიდევ უფრო პრიმიტიულები ვყოფილვართ, ვიდრე გვევონა, ვეროპაში კი სულ რაღაც 2 მილიონი წლის წინ მოვედით აფრიკიდან, გზად კი საქართველოში დავესვენეთ“.

BBC: „ისინი დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ აქ და შეიძლება ითქვას, აფრიკიდან ახალი გადმოსულები იყვნენ. მამაკაცები ბევრად ზორბები იყვნენ, ვიდრე ქალები. ჰქონდათ გამართული ზურგი და მძლავრი ქვედა კიდურები. ჰომო ერექტუსის უშუალო წინაპრის, ჰომო ჰაბილისის მსგავსად, ღმანისელებს ზედა კიდურები ქვედასთან შედარებით სუსტად ჰქონდათ განვითარებული“.

საპ. 068.



ისპინეთ ჩვენი განგაჟის ზარი!

11. ნუთუ მართლა დღგა დრო სამხრეთის სამართავლოსაბან ბამოყოფისა?

„სანამდე შეიძლება ვითმინოთ... მეგრული ენის გადარჩენის ერთადერთი გამოსავალია სამხრეთის სამართავლოდან გამოყოფა“-ო, - წავიკითხე ერთხელ, სხვებთან ერთად, მეც, ვინმე იური ღვინჯილიას განაცხადი ინტერნეტში და ჩემს აღშფოთებას სახლგარი არ ქონდა. რამდენიმე თვეში, ქალაქ ზუგდიდში ერთ-ერთ ღონისძიებაზე მიწვევით მყოფი, დარბაზში თურმე ამ ღვინჯილიას გვერდით აღმოჩნდი და, ისე ავლელი, ჩემი საქციელისა ყველაფერი არც კი მახსოვს. ღამის ფიზიკურადაც გავიწიე მისკენ (ტელერეპორტიორებს ესეც ალუბუჭდიან).

ამასწინათ, გაზოთ „ილორი“ (233, 20-23 აგვისტო, 2013) აკად. კუკური ფიფიას წერილში, „სამართავლოს სახელმწიფოებრიობის ქობანი თუ უცხო ქვეყნის აგენტები“, ერთგანი, აი, რა წერია: „...თუ ეს მართლაც ასეა, ასეთ შემთხვევაში დიდ ბოდიშს ვიხდი პატივცემული მკითხველის წინაშე, მიმიფურთხებია ამგვარი დამამცირებელი ფიფისა და მტერთან ერთიანობის შემწვანებელი მეგრულთათვის, ე. ი. ნამდვილად დამდგარა სამართავლოდან სამხრეთის სამართავლოს გასვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების დრო. ასე სერიოზულად დგას დღეს, ოდესღაც დედაპიწის ნახევარსფეროში გაგრეცელებული იბერიული ცივილიზაციის შემქმნელი, დღეისათვის კი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს 7-8 რაიონს შემორჩენილი მეგრული მოსახლეობის და, საბოლოოდ, საქართველოს ყოფნა-არყოფის საკითხი“.

ამას წერს არა ფსევდონიმით, პირადი ამბიციებით შეპყრობილი და ამის გამო საკუთარი სისხლსორცეული მიღონობით აღამიანის გადაშენებისაკენ თვალის დაუხამამბებლად წამბიბეველი ტარიელ ფუტკარაძე და მისი ანალოგი რომელიმე ამფსონი, არამედ ნაღდი ქართველი, კოლხი, ჭეშმარიტების ზეონისათვის თავდადებული მეგრძოლი, პატიოსნებითა და სინდისით აღსავსე პიროვნება, ბატონი კუკური ფიფია (კონა კოლხი).

თვალეებს არ დაუფურე! არადა, რომ დაუფიქრდ, სიმართლე დავლანდე მასში და სასოწარკვეთილებაში ჩავეარდნი (ეს წერილი, ასეთი დაუფიქრობითი, მეტწილად სწორედ ამან დამაწერინა). ამგვარზე უფრო დიდი სიგნალი (უკვე მერამდენელ!) მოსალოდნელი უბედურებისა, სხვა რაღა შეიძლება იყოს? ეს უკვე დღეს ჩნდება ამგვარი მოსახრებები, და... რა იქნება ხვალ, ასევე რომ გაგრძელდეს მეგრეთში მოქალაქეთა შეერთება და გაკითხავი არავინ აღმოჩნდეს?!

12. ახლა ოცდამეერთე საუპუნა

დაიხ! ახლა 21-ე საუკუნეა, მისთვის დამახასიათებელი ცივილიზაციით, აღამიანის უფლებების უზენაესობის დამკვიდრებითა და... მოვლენათა ელვისებური განვითარებით. ამის გააზრება ყველას გემართებს, ვიდრე გვიანი არ იქნება!

13. სად ბაძრა კოლხეთის ისტორია?

უშუალოდ საკითხს (ენის პრობლემას) არ ეხება, მაგრამ საკითხავია: სად გაქრა კოლხეთის ისტორია? რატომ შემოადნათ იგი ხელში საქართველოს ისტორიის წიგნის შემდგენლებს, აკადემიკოსი ქალბატონის რედაქტორობით? იქნებ კოლხეთი საქართველოს კუთვნილებდა არ უნდა მოიაზრებოდეს? იქნებ სულაც არ არსებობდა კოლხეთი? მაშ, რა იყო ის, რაც ადრე არსებობდა დღევანდელი (უფრო ვრცელ არეალზე რომ არაფერი ვთქვათ) საქართველოს ტერიტორიაზე? დემტო, სად არის შენი სამართალი და აღამიანთა გარკვეული ნაწილის სინდის-ნაშუნი?!

14. მებრელთმოკულები – მებრელთა, სვანთა და ლაზთა აბთვისებანი სიმბოვნი

„ჩვენ ვიცით, რომ მეგრული ენაა, მაგრამ ამითავესად საშიში სწორედ ეს ენაა და ამიტომაც ჩვენ არამც და არამც უკან არ უნდა დავიხიოთო“, - წერს თავის მეგობარს საიდუმლო ინტერნეტწერილში ტ. ფუტკარაძე. ხომ ყველაფერი ნათელია?

არავინ იფიქროს, რომ წინამდებარე წერილი ნაქარვე და ემოციური პათოსით ნაკარნახევი იყოს.

ტ. ფუტკარაძისა და მისი ამფსონების ჩანაფიქრს, ჩვენ, ჯერ კიდევ 2000 წლიდან

ვახსუხობთ, ვამხელთ კიდევ და მოვეწოდებით, რომ შეჩერდნენ, მაგრამ ამოდ. აი, მოკლედ ამის შესახებაც:

2000 წლის მაისის თვეში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ **ისპ** ზუგდიდის ფილიალში ჩატარებულ გასვლით სამეცნიერო კონფერენციაზე, ფუტკარაძემ და თ. გვანცელაძემ, გაახმოვანეს მოსაზრება, რომ მეგრული, სვანური და ლაზური წარმოადგენენ დიალექტებს და არა ენებს. ამ განაცხადს, პირადად მე, ამ სტრიქონების ავტორმა რეპლიკით ვუპასუხე, რაშიც პროფ. ტ. მოსია და დოც. კ. სამუშია ამყენენ. ტ. ფუტკარაძის რეაქცია ამაზე, შესვენებისას, კერძოდ ტ. მოსიას მიმართ, ისეთი უხამსი და შეურაცხყოფილი იყო, რომ, რომ არა მეგრული სტუმართმოყვარეობისადმი პატივისცემა, იგი საკადრის, სამუდამოდ დასამახსოვრებელ პასუხსაც მიიღებდა (საქმისათვის ეს ასეც სჯობდა თურმე, მაგრამ მაშინ აბა რა ვიცოდით!).

2002 წლის მაისში, ქ. ქუთაისში გამომავალ ერთ-ერთი პოლიტიკურ გაზეთში, - „ქუჯი“ (38), რომლის რედაქტორიც ტ. ფუტკარაძე იყო, გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „**ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი. მემორანდუმი**“, სადაც ცალსახად იყო მოცემული, რომ ქართველური ენები: მეგრული, სვანური და ლაზური არასოდეს არსებულან და ასეთებად მათი გამოცხადება საშიშია ქართველთა ერთიანობისათვის, და ა. შ.

ჩვენ, მაშინათვე, ვრცელი საპასუხო წერილი გამოვაქვეყნეთ გაზეთ „ფარტახის სამრეკლოში“ (1, ოქტ., 2002), სათაურით: „**ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმი – ქართველური ენების უგულვებელყოფის ცდა**“. გვიან კი გავიგეთ, რომ ქუთაისში ჩატარებულ ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მონაწილე 200-მდე კაციდან ტ. ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების მიერ წამოყენებული მოსაზრებისათვის მხარი მხოლოდ 10-მდე კაცს დაუჭერია.

2003 წლის 26 ივლისს, ქალაქ სენაკში, მუხუმი „**ნოქალაქების ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ მეორე ყრილობა**. მას ესწრებოდა 10.000-მდე კაცი. მრავლად იყვნენ სტუმრები დედაქალაქიდან, სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდანაც. პირადად მე, მიმყავდა რა ეს ყრილობა, აღ. ჭაჭიას საანგარიშო მოხსენების შემდეგ, წარმოვადგინე მოკლე მოხსენება: „**ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმის შესახებ**“, ყრილობამ ერთხმად დაგვიადინა აღნიშნული მემორანდუმი, - როგორც ანტიეგრული ენები. ამასთან, ყრილობის დადგენილებით, იქვე, შეიქმნა „**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთი**“ და მისი პრეზიდენტის მოვალეობა მე დამეკისრა“.

მას შემდეგ, ტ. ფუტკარაძისა და მისი ამფსონებისაგან ერთხანს არაფერი ისმოდა, მაგრამ ისინი კვლავ გამოჩნდნენ არენაზე, და, ამჯერად უკვე აშკარა ინტრიგებით, დამაშინტაჟებელი ქმედებით გააკრძელეს თავიანთი მიზნის რეალიზაციისათვის ბრძოლა. ამასობაში, მეტადრე გათამამებულიებს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის გვერდინად შემოვლანდნათ, მათი ახალი „**თეორიისადმი**“ მხარდაჭერის მიუღებლობის გამო.

2007 წელს საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტმა სპეციალურად განიხილა „**სამეგრესის ახალი „თეორია“**“ და მას ღინგვისწორად სრულად უსაფუძვლო და პოლიტიკურად საშიში და მიუღებელი უწოდა. ამასთან, საკითხის განხილვის შედეგებზე გამოცემა 140-გვერდიანი სპეციალური კრებული სახელწოდებით: „**ქართული და ქართველური ენები (ერთი ენათმეცნიერული პოლემიკის გამო)**“.

გვეკონა, ამის შემდეგ მაინც მოვეგობდნენ გონს, ტ. ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირიქით, - მათ მეტი აგრესიულობით განაგრძეს ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაკებს და სხვებს, ვინც მათს ახალ „**თეორიას**“ მხარი არ დაუჭირეს, სულ კრემლის აგენტები უბახეს და ასე ებახიან და აშინტაჟებენ დღემდე ყველას. ვეროსაბჭოს კი, თავისი კონვენციების გამო, რა არ უწოდეს.

ამიტომაც, ჩვენ აქამდეც მრავალი წერილი გამოვაქვეყნეთ გაზეთებსა და ჟურნალებში: ვურჩევდით მათ, ზოგჯერ

მუხლმოდრეკითაც კი ვთხოვდით, რომ თავი დაენებებინათ ასეთი ქმედებისათვის. არაერთხელ გავუგზავნეთ პირადად და გამოვაქვეყნეთ ღია წერილები ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, ასევე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელების სახელზე. არსაიდან პასუხიც არ მივიღია, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც პრეზიდენტ მ. სააკაშვილის კანცელარიიდან მივიღეთ შეტყობინება, რომ ჩვენი წერილი გადაეგზავნა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს. ეს მაშინ, როდესაც საკითხი ენათმეცნიერებას, და მაშასადამე, განათლებასა და მეცნიერების სამინისტროს ეხებოდა (ამიტომაც, შესაძლებელია, იგი საბოლოოდ სპორტის რომელიმე სექციისთვისაც კი დაეწერათ).

მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოს პარლამენტის ტრიბუნლიდან განმანდა მოსაზრება ვეროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციის შესახებ, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცმოვლების მხრივ მაშინათვე მოჰყვა უარყოფითი რეაქცია. ამიტომაც მივმართე სათანადო წერილით პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს. ცხადია, ვითვალისწინებდით პრემიერ-მინისტრ ბატონ ბიძინა ივანიშვილის დადებით პასუხს, ამ საკითხზე, ვეროსაბჭოს ტრიბუნლიდანაც, როცა მას კითხვა ვეროსაბჭოს თავმჯდომარე დაუქვია.

მადლობა დემტოს, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბატონ ივანე კიდურაძის ხელმოწერით მაშინათვე მივიღეთ პასუხი იმის შესახებ, რომ ჩვენი წერილი, საკუთარი მოსაზრების წარდგენის თხოვნით, გადაეგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ქალბატონ გ. კვარაცხელიას.

მას შემდეგ 5 თვე იწურება. ჩვენთვის გაუგებარია, რა ბედი ეწია ან ქვეა ჩვენს წერილს და ვისგან შეიძლება მივიღოთ საბოლოო პასუხი მასზე. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ ახალი პარლამენტიც არ იყოს თავისუფალი ნაცმოვლთა ჩვეული უხეივ რიტორიკის ხეგაგენისაგან. ამას, ეხადებოდა ე. წ. „**კოლაბორაციის**“ ვითარებაც გვაფიქრებინებს.

აქვე დაგვხვთ: ჩვენთვის გაუგებარია, რა საშიშროება შეიძლება არსებობდეს იმაში, რომ დაქაოფობებულ იქნას ახალციხელი აზერბაიჯანელების თხოვნა მათი ენის დაცვის შესახებ, ვეროსაბჭოს ქართის მოთხოვნათა მიხედვით. მეტიც, - გაუგებარია, საერთოდ რაში სჭირდებათ ამგვარი თხოვნა ახალციხელი აზერბაიჯანელებს, რომელთაც აზერბაიჯანულ ენაზე სკოლებიცა და უმაღლესი სასწავლებლებიც კი გააჩნიათ. განა ამაზე მეტს რას პირდება, მათ, ვეროქარტია?

ჩვენ, მეგრელები, სვანები და ლაზები კი მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ საშუალო სკოლების გარკვეულ კლასებში ისწავლებოდეს მეგრული, სვანური და ლაზური ენები, - როგორც ქართველური ენები და აღდგეს მათი სწავლება უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტებზე, როგორც ეს 1998 წლამდე იყო. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დაცულ იქნას ეს ენები გადაშენებისაგან და გამოირიცხოს გაუცხოება და ურთიერთუნდობლობა ქართველურ ტომებს შორის, რაც ესოდენ საზიანოა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისათვის. ხაზს ვუსვამთ: ჩვენ იმას როდი მოვითხოვთ, რომ გვეწოდნენ მეგრულენოვანი, სვანურენოვანი და ლაზურენოვანი სკოლები, სადაც მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა საგნების სწავლება იქნება მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებზე. ჩვენ მხოლოდ ცრუპენტელა მეგრეთმოძულეები გვევრცელებენ ჩვენგან ამგვარი მოთხოვნის არსებობის შესაძლებლობას, სეპარატიზმის გამოვლინების საშიშროების საბაბით. ელემენტარულად საღად მოაზროვნე ხელისუფალი, და სხვანი, აბა როგორ უნდა გამოეპან მათ მიერ გადაცემულ ამგვარ ანკესს?

ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემულ ზემოაღნიშნულ კრებულში პროფ. მიხეილ ქუთაიას მიერ გამოხატულია შემოფთება იმის შესახებ, რომ ტ. ფუტკარაძის, ა. ჯავარიძის და მათი თანამოაზრეების ქმედ-

ბამ შესაძლოა ავტორიტეტი გაუტეხოს საქართველოს საპარტიარქოს. ეს ასედაც მოხდა.

თუმცა, ჩვენ ვერ დავიჯერებთ იმას, რომ უწმინდესისა და უნეტარების, საქართველოს პატრიარქის დავალებით შეიძლება იწვეოდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგგარეშე სხდომები და მათზე ქართველური ენების დიალექტებად გამოცხადებისა და საქართველოს კანონმდებლობით მისი დამტკიცების შესახებ მოხსენებებით გამოდიოდნენ ტ. ფუტკარაძე და სხვა ცოცხალი მკვლევარები მეგრელებისა, სვანებისა და ლაზებისა, მაგრამ მათი ამგვარი პროვოკაციული განაცხადი, რასაც ალბათ თვითონ ავრცელებენ, გასაგებია, როდენ საშიშიცაა ჩვენთვის, საერთოდ ქართველებისათვის, - თუნდაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. შემაზრუნეი ხომ ისიც კია, შედარებით დაბალი რანგის თუ იერარქიის წარმომადგენელთა გასულელება რომ მოახერხეს, აქამდე, ბოროტგანმზრახველებმა. არა გვეონია, და არც გვინდა დავიჯეროთ, რომ მათ თვით უმაღლესი იერარქიის პირებიც ჩათვალეს სათანადო ზოგადი განათლების არმქონე პირებად და შევხედეს მათაც, დაერწმუნებინათ ისინი მათ მიერ მოგონილ სისულელებში, რის მცდელობასაც ასე ფართო მასშტაბით ეწვეიან საქართველოში და, წარმოიდგინეთ, მსოფლიო მასშტაბითაც. ამგვარზეა ნათქვამი: „**მად ჭამაში მოდიო**“.

ცნობილი გამოთქმა, - „**ტიპსავით მოუშორებელია**“, - ტ. ფუტკარაძისა და მისი ამფსონების ბუნების დასახასიათებლად ვერ გამოდგება, რადგან ტიპსავის სისხლით რომ გაძლება, ორგანიზმს შორდება. ამათ კი, ამგვარი არაფერი ეტყობათ. ისინი, მეგრელთა, სვანთა და ლაზთათვის, ავთვისებთან სიმსივნედ მოვლენილ უბედურებას წარმოადგენენ.

15. სიცრუს, უზნეობის, თავზნეობისა და უტიფრობის უპრემიენტი მავალითი

ტ. ფუტკარაძისა და მისი ამფსონების ახალი „**თეორიის**“ მიხედვით გამოდის, რომ თურმე ენისა და დიალექტის ერთმანეთისაგან გარჩევის უნარი არ ქონიათ მსოფლიოში ცნობილ და გამოჩენილ ისეთ ენათმეცნიერებსა და კორიფებსაც კი, როგორებიც იყვნენ: მარი ბროსე, დიუმეზელი, დეკერსი, ფერდინანდ დე სოსიური, გიულდენშტედტი, ვილფელმ ჰუმბოლდტი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ისევე ყოფილ, ვარლამ თოფჩუელი, გიორგი როგავა და სხვანი და სხვანი, რომელთაც არასოდეს შეჰპარვიათ ეჭვი ქართველური ენების არსებობაში.

ისინი თვითნათი ქმედებით თვალში ნაცარს აყრიან მსოფლიოს ხალხებს და სურთ მათი გაბრიყვება, რომ არაფერი ვთქვათ ქართველი ხალხის, საქართველოს საპარტიარქოს, ერისა და ბერის გაბრიყვებაზე, რასაც ასე დაბეჯითებით ესწრაფვიან. ამიტომაც არის მათი ქმედება სიცრუის, უზნეობის, თავხედობისა და უტიფრობის უპრემიენტი მავალითი.

მათ ერთხელაც კი არ დაცდენიათ სიტყვა, ქართველი ერისათვის მართლაცდა ისეთი საშიში ვითარების გამო, როგორშიც საერთოქართული ენა იმყოფება დღეისათვის. ეს ენა, აქამდე ისედაც მეტისმეტად გაჯერებული უცხოური სიტყვებით (თვლიან, რომ მისი ლექსიკონი 50-60 პროცენტზე სპარსული, თურქული არაბული და სხვა ენებიდანაა. რ. მიშველაძე და სხვ), ყოველდღიურად ივსება და ნაკვიანდება უცხო ენათა სიტყვებით, თითქოსდა მათი შესატყვისობანი ქართულში აღარ გვექნოდეს; რგვიონებიდან დედაქალაქში ჩასულ აღამიანებს კი, თბილისის ქუჩების ნაცვლად თავი სხვა უცხო ქვეყანაში წარმოუდგება; სასტუმრო ივარიასაც კი არ შემორჩენია ქართული სახელწოდება. ამგვარზე გასუსულ მეგრეთმოძულეებს ქართველურ ენებზე აბა რა გული შეიძლება შესტკიოდეთ?!

მამანტი ბაბამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას ალტერნატივა არსებობს – ვინ იქნება თემურ ქეცბაიას შემდეგ?



ზოგადად, ალტერნატივა აუცილებელია, ამის გარეშე ყველაფერი ჩლუნდება და ბლაგვდება. ის ხშირად გამოსავალია, რეცეპტია, რომელსაც შევლა და შეგება მოაქვს.

ალტერნატივა კონკურენციასაც ნიშნავს, კონკურენცია კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგია. ალტერნატივა აუცილებელია, როცა გადაწყვეტილება მისაღებად.

როცა თემურ ქეცბაია ინიშნებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ის უალტერნატივო იყო, ამ თანამდებობაზე სხვა კანდიდატურა არ განიხილებოდა...

ჩვენი საფეხბურთო სამყარო, ალბათ, უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ მწვრთნელის ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. კი ბატონო, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ნაკრებში თუ ქართულ კლუბებში აქაურ მწვრთნელებს უცხოელზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ, მაგრამ სტატისტიკა დოგმა ვერ იქნება, ის უფრო დამხმარე საშუალებაა.

საქართველოს ნაკრებში თემურ ქეცბაიას დანიშვნას წინ უძღოდა კამათიც, თუმცა არა მგონია, რომ დანიშვნისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა – ქეცბაია მაშინ მალაქატიონიძის გახლდათ და მორნა! გადაწყვეტილების მისაღებად ეს საკმარისი იყო...

რა თქმა უნდა, მწვრთნელის რეიტინგი ისე არ იანგარიშება, როგორც პოლიტიკოსის, ვისაც ხმას ელექტორატი აძლევს. მწვრთნელის დანიშვნა, შესაძლოა, იმპერატორული გადაწყვეტილება აღმოჩნდეს და

ასეც მოხდა თემურ ქეცბაიას შემთხვევაში. დღეს ნაკრების მწვრთნელ ქეცბაიას მხარდასაჭერად არავინ გამოდის – არც ფეხბურთელი, არც სპეციალისტი, არც ჩინოსანი. ქეცბაიას კრიტიკით კი გამოდიან ფეხბურთელებიც, ჟურნალისტებიც, ზოგი სპეციალისტი თუ მწვრთნელიც, ლევან კობიაშვილმა კი ქეცბაიას ნაკრებზე თქვა – ეს ყველაფერი ბლეფიო ქეცბაია მხარდაჭერების გარეშე დარჩა, თუმცა გადადგომას ჯერ არ აპირებს. რატომ უნდა დარჩეს ქეცბაია ნაკრების თავკაცად? იმიტომ, რომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა ზოგადად ცუდია – ამ არგუმენტის გარდა, დარჩა კიდევ სხვა?

რადგან ასეა საქმე, დროა დაფიქრდეთ, რა ალტერნატივა არსებობს ნაკრების "მთავარსარდლის" თანამდებობაზე. რა თქმა უნდა, მწვრთნელის დანიშვნა ჟურნალისტის საქმე არ არის, თუმცა ეროვნული გუნდი ყველასია (თავად ქეცბაიაც ხშირად ამბობს ამას) და ყველას აქვს უფლება, თამამად გამოთქვას არგუმენტირებული მოსაზრება.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი უცხოელთაგან ბევრი იქნება, ქართველთაგან კი ამის შემდეგ, ამ ეტაპზე, ალბათ ორია – კახა ცხადაძე და გია გუგუშაძე.

ცხადაძეს ზურგს ისიც უმაგრებს, რომ ეროვნული გუნდის კაპიტანი იყო, "თანამებობის" ნაკრებშიც უთამაშია ვეროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ცხადაძემ მწვრთნელობა თბილისის "დინამოდან" დაიწყო იმ დროს, როცა "დინამოში" არ იყო დაღვინილი სიტუაცია. ასეთ დროს მწვრთნელის ტვირთი კიდევ უფრო მძიმდება. ცხადაძე შეუპოვრად უხილვობდა ამ ტვირთს და მოახერხა ის, რომ, როგორც მწვრთნელმა, შექმნა საკუთარი თავი.

ცხადაძის ხელში ბევრი კარგი ფეხბურთელი დაწინაურდა, მაგალითად, გიორგი მერეაშვილი "დინამოში", დავით სირაძე თბილისის "ლოკომოტივში"...

ცხადაძის მიერ გაწვრთნილი ბოდნისის "სიონი" კი 2006 წელს სულაც საქართველოს ჩემპიონი გახდა...

თუმცა ცხადაძე უნაკლო მწვრთნელი არ ყოფილა "დინამოში". ფიცხი ხასიათი ის თვისებაა, სპეციალისტს კარგ სამსახურს რომ არ უწევს, მაგრამ ცხადაძემ მაინც მოახერხა კარგი მწვრთნელის იმიჯის შექმნა.

ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დანიშნა მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციას უმცროსი ნოდარ ახალკაცი პრეზიდენტობდა, თუმცა ამ თანამდებობაზე დიდი ხნით არ დარჩენილა – აზერბაიჯანიდან ფინანსურად უკეთესი შეთავაზება მიიღო და იქ წავიდა. ის არ შეუშინდა უცხო ქვეყანაში მუშაობას, გამოწვევა მიიღო და საქმესაც თავი კარგად გაართვა – მის ხელში ბაქოს "ინტერმა" ტიტულები მოინაგრა.

მას გამოწვევების არ ეშინია და დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოს ნაკრების გაწვრთნას შესთავაზებენ, უკან არ დაიხვეს. უკვე გამოცდილი მწვრთნელია და ნებისმიერი ორომტრიალისთვის იქნება მზად...

გია გუგუშაძეს დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ ეს სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ იყო წარმატებული მწვრთნელი.

გუგუშაძემაც სამწვრთნელო გზა "დინამოდან" დაიწყო მთავარი მწვრთნელის თანამშემწედ. იყო დავით ყიფიანის ასისტენტი და ასეთ დიდ ადამიანთან მუშაობა პატარა ამბავი არ არის.

მერე ისე მოხდა, რომ "დინამოსა" და ეროვნული ნაკრების თავკაცად იოჰან ბოსკაში დანიშნა. პოლანდიელების მოსვლა მართლაც ახალი სისხლი იყო მაშინდელ ქართულ ფეხბურთში, რომელიც სამწვრთნელო ნოვაციებისა და შემოქმედების მხრივ ერთ ადგილზე იყო გაჩერებული.

გუგუშაძემ ბოსკაშისგან ბევრი ახალი რამ ისწავლა. ეს ერთი გუნდი იყო. შეიძლება ითქვას, ისინი თანამოაზრეები გახდნენ. ბოსკაში აქაურობას მალე გაეცალა, გუგუშაძეს კი უკვე ახალი, უფრო სერიოზული სარბიელი სჭირდებოდა...

დადგა ის დროც, როცა ბადრი პატარკაციშვილის "დინამოში" მმართველ დირექტორად დავით პეტრიაშვილი დანიშნა, ვინც ნამდვილად არ იყო გუნდის

მაშინდელი დამრიგებლის, იყო შუშაკის თანამოაზრე.

შუშაკის პოზიციები "დინამოში" თანდათან სუსტდებოდა, ხორვატი თითქოს წურავდა საკუთარ თავს ამ გუნდში. მაშინ გუგუშაძე "დინამოს" მეორე გუნდში მუშაობდა. 2003-04 წლების სეზონი სრულდებოდა, როცა შუშაკი წავიდა და გუნდი გუგუშაძემ ჩაიბარა. მაშინ საქართველოს ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" გახდა, გუგუშაძის "დინამოში" კი თასი აიღო.

2004 წელი ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა, როცა ქართული გუნდი ევროტურნირის ჯგუფში გავიდა – "დინამოში" ეს გუგუშაძის ხელმძღვანელობით მოახერხა.

გუგუშაძე და ცხადაძე – ისინი არ არიან დაცვითი ფეხბურთის მიმდევრები; მათ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე; ისინი იმსახურებენ, რომ ასეთი შანსი მისცენ.

ამ წერილში მათი სამწვრთნელო ბიოგრაფიის ყველა დეტალი არ არის მიმოხილული, მაგრამ თუ გუგუშაძისა და ცხადაძის კანდიდატურები განიხილვის თემა გახდება, მათ სამწვრთნელო საქმიანობაში კიდევ ბევრ საინტერესო ნიუანსს აღმოვაჩნთ.

რაც შეეხება შოთა არველაძეს, რომლის შესაძლო დანიშვნაზეც ასევე ბევრს ლაპარაკობს ქართული საფეხბურთო მიღები, არა მგონია, ამ ეტაპზე ის ნაკრების მწვრთნელი გახდეს. ის უკვე საკმაოდ ძვირადღირებული სპეციალისტია თურქეთში, სადაც სერიოზული ამოცანების გადასაჭრელად მუშაობს – "ქასიმფაში" ევროსარბიელზე უნდა გაიყვანოს...

ფეხბურთის ფედერაცია, ალბათ, საბოლოოდ დაფიქრდება ამ ყველაფერზე მაშინ, როცა ეროვნული ნაკრები შესარჩევ ციკლს ჩამთავრებს (15 ოქტომბერს ესპანეთთან მატჩით). ის არ არის დახურული ორგანიზაცია და, შესაბამისად, რაღაც განცხადება და რეაგირება უნდა გააკეთოს იმაზე, რაც ეროვნულ გუნდში და მის გარშემო ხდება.

დიდი დღესასწაული სენაკში

ეროვნული მოძრაობის ზუბედილის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" და ეროვნული ბეგრების წევრები ღრმად მფუხარებით იუწყებიან საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, ეროვნული მოძრაობის ღირსებული წარმომადგენლის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ეროვნული ბმირების
ბია და ბოჩა ენაბუბის
გამის
სერბო ენაბუბის
ტრაბიკულად გარდაცვალებას და სამიმიარს უცხადებან განსვენებულის ოჯახს.

სახალხო მოძრაობა
"სამებრელო" დიდი
ბულისტიკილით იუწყება,
რომ ტრაბიკულად
დაიდუპა შესანიშნავი
პიროვნება და მამულიწმილი
სერბო ენაბუბა
და უთანაბრძობს
განსვენებულის ოჯახს.

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის ჩამოყალიბების 10 წლისთავთან დაკავშირებით მიტროპოლიტ შიოს კურთხევითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის რაიონული განყოფილების ხელშეწყობით (ხელმძღვანელი – ირმა კუპრეიშვილი) მოეწყო შემაჯობებითი და თემატური ღონისძიებების კვირეული.

7 ოქტომბერს სენაკელთა წინაშე წარსდგა საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ დამაარსებელი და მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ქალბატონი ელისო ბოლქვაძე, რომელმაც მაყურებელს დაუვიწყარი სადამოაზრეობა მოუწოდებდა. კონცერტში მონაწილეობდნენ სიმეზიანი კვარტეტი „იბერი“ და ახალგაზრდა პიანისტები: ბარბარა თათარაძე და ილია ლომთათიძე. სადამოაზრე შესრულდა სულხან ცინცაძის, სერიაბინის, შოპენის, ბეთოვენის, და სხვა გამორჩენილი კომპოზიტორების უკვდავი ნაწარმოებები. სახელმწიფოებრივ პიანისტმა ქალბატონმა სენაკში ჩაატარა მასტერ-კლასები, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს სახელოვნებო სკოლების მოსწავლეები.

საქველმოქმედო ფონდ „ლირა“-ს დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი აღმოაჩენს და სისტემატურად ხელს უწყობს ახალგაზრდა, ნიჭიერ პიანისტებს დახელოვნებასა და წინსვლაში. ამჯერად ქალბატონ ელისო ბოლქვაძის ყურადღება მიიპყრო სენაკელმა ნიჭიერმა ყმაწვილმა ლაშა კვარაცხელიამ, რომელიც ქუთაისის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებლის

მოსწავლეა. ლაშა 2015 წელს მიწვეულია ნიუ-იორკში ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო ფესტივალზე.

მომდევნო დღეს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუსიკის მოყვარულთა ოვაციით შეხვდნენ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ტრიოს „სეპრეს“ წევრებს – ლელა მჭედლიძეს, თამარ, ლიქელსა და ჰაიკ ბაბაიანს. მათთან ერთად მაყურებელს წარუდგა, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსეთის ნაციონალური პრემიის – „ოქროს ნიღაბი“ მფლობელი, არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ბატონი ანზორ შომახია. მაყურებელზე ნამდვილად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა საოპერო მომღერალმა თეა სუბელიანმა. ელვრდა სასიამოვნო მუსიკა და იქნებოდა დაუვიწყარი, ამდღისეული შთაბეჭდილებები, რომლის მსგავსი ღონისძიებები დიდი ხანია რაც სამეგრელოში არ მოწყობილა.

უნეველო ხალხმრავლობა და ინტერესი გამოიწვია ღონისძიება „ელარჯი-2013“-მა, რომელიც ქალაქის ახალგაზრდობის პარკში, ღია ცის ქვეშ მოეწყო. რაიონის ყველა სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შემოღობის ნობათა და საკუთარი ნახელონი. მეგრულ მრავალფეროვან სამხარეულო სთან ერთად წარმოდგენილი სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული იყო ხმატკბილი კუთხური და ქართული ცეკვა-სიმღერები. ღონისძიების ორგანიზა-

ტორები ყველა მსურველს უხვად უმასპინძლებდნენ ხილითა და ტკბილეულით. სადამოს კი ცნობილმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ეგარი“ გამართა კონცერტი, რომლითაც მსმენელი დიდად კმაყოფილი დარჩა.

11 ოქტომბერს კვლავ აკაკი ხორავას სახელობის თეატრში ჩატარდა მუსიკის ზემი. ამჯერად საკუთარი ხელოვნებით მსმენელი დაატყვევა ვირტუოზი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის ბრწყინვალე შესრულებამ. ფესზე ამდგარი მსმენელი ოვაციით დიდხანს მადლობას უხდოდა შემსრულებელს.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის
ლაურეატი



ISSN 1987-8966 ilori
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული**
სარედაქციო ტელ. №01018002930
234 - 32 - 95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანიას**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოყაშვილი**
ბაზრის მენეჯერი: **ზურაბ ძოგალაია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, კლიმენტი შალია, ბიჭო სომხიშვილი, დავით ძოგალაია, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (გალი)**

გახეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე www.saqinform.ge